საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 22 ივლისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი,** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15 × 2) 200 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 163 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 163

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ანასტასია გიორგის ასული, შვილები: საშა ლადო და თამარ ბურთიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველის მულის შვილის, უკანასკნელთა საყვარელი მეგობარი და მამიდაშვილი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტ

ალექსანდრე გრიგორის ძე თითბერიძის

სულის მოსახსენებლათ (უ. 1—1)

გულმოკლული მშობლები: ანდრო და ფაქა გაბუნიები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 25 ივლისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ ქალის

ნინას

სულის მოსახსენებლათ ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში. (2392 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა სარდიონ დავითის ძე კორძაია, და მაკრინე (მაკიკა) ლოლობერიძისა კორძაიას ასული, სიძე იოსებ ალმასხანის ძე ლოლობერიძე, რძალი ელენა კორძაიას ლორთქიფანიძის ასული, ძმის წული დავით სარდიონის ძე კორძაია და დისწული ნინა იოსებ ლოლობერიძის ასული აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ვარლამ დავითის ძე კორძაია

პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველდღე ნაშუადღევის 6 საათზე, ხოლო დაკრძალვა იქნება ივლისის 22 დღით ხუთშაბათს ცხრა საათზე, სოფ. საჭილაოში ნამწარეული წმინდა გიორგის ეკლესიაში.

გულდაწყვეტილნი და დამწუხრებულნი: ბიძაშვილი ვალიკო ილარიონის ძე ყიფიანი, სიძე გარდაცვალებულისა ცოლი გალაქტიონის ოლიმპია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

რაჟდენ დავითის ძე ყიფიანის

გარდაცვალებას, რომელიც 18 ივლისს თფილისის სადგურზე ტრაღიკულად მოკლულ იქნა. გამოსვენება თფილისის რკინის გზის საავადმყოფოდან ხუთშაბათს 3 საათზე. (2388 1—1)

მეუღლე სონია, შვილი აკაკი, ძმები: ამბაკო და გერმანე, დედა მართა, რძლები: სარა და მაგდანე, ბიძაშვილები: კოწია, ილიკო და ვლადიმერი ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 18 ივლისს ტრაღიკულათ მოკლულ იქნა

რაჟდენ ყიფიანი

მიცვალებულს გამოასვენებენ რკ. გზ. საავადმყოფოდან, დღეს ნაშუადღევის 3 საათზე. (2388 1—1)

დამწუხრებული მეუღლე რაფიელ, სიდედრი მართა, სიმამრი კონსტანტინე, მაზლები: ვარდენ, ნიკო, ნარიმან, დებით შარაშიძეები, დედა დესპინე, მამა ნიკო, ძმა კლიტრატე, დები სონა და თამარო ებრალიძეები მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 19 ივლისს გარდაიცვალა მარად დაუვიწყარი

მარო ნიკოს ასული შარაშიძისა

დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში, წმინდა გიორგის გვიმბრალის ეკლესიაში, დღის 4 ს. გამოსვენება საპიორნი ქ. № 27.

გულდამწვარი მეუღლე ვარდო, შვილები: ივანე (კაკულია), ვალიკო, ძმები დეკანოზი ილარიონ და სარდიონ, რძლები ციფულო და სონია, ძმისწული ნიკიტა მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში უდროოთ გარდაიცვალა საყვარელი

ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე 24 ივლის დღითი შაბათს. გამოსვენება მოხდება 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან. (2393 1—1)

თფილისის საპედაგოგიო ინსტიტუტი
(არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).

ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს

20 ივლისიდან 30 აგვისტომდე

როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურისათვის,—ყველა დარგებზე. მიიღება თხოვნები აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ყველა კლასებში. მისამართი: თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 91. კანცელარიის ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (ნ. 12—1)

მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა
„ქართლი“

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლს“ გორის სამაზრო ერობასთან ერთად აქვს გასაყიდათ მომზადებული დიდძალი **ზამთრის ხილი.** მსურველთ შეუძლიანთ **დაკვეთა** ხელმისაწვდომ ფასებში

ფუთობით და ვაგონობით

აქაურ თუ საზღვარ-გარეთულ ბაზრისთვის გამზადებული (**упаковка**). მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 4, „ქართლი“. **ამხანაგობის გამგეობა.** (2163—6—6)

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა აცხადებს
რომ გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს

ნოე ჟორდანიას
თხზულებათა მეორე ტომი

წიგნის დარიგება მოხდება იმავე წესით, როგორც პირველი ტომი. (2368—2—2)

მეორე ქართული კლუბი
პლეხანოვის პროსპექტი

ხუთშაბათს, 22 ივლისს **ხუთშაბათს, 22 ივლისს**

სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის და საინჟინერო გუნდის კულტურულ-განმანათლებელი სექცია მართავს, ადერბეიჯანთან ომის დროს ამავე ბათალიონის დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ

საღამო-სეირნობას

სცენაზე. 1. რეფერატი სახალხო გვარდია და რესპუბლიკა **ვალიკო ჯუღელი.** 2. ვოდევილი „დედის ერთა“ დ. აბდუშელის ხელმძღვანელობით. 3. დივერტისმენტი—გ. ქუჩიშვილი, ვარ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ფაშალიშვილი, ივ. ყიფიანი, პლ. ლეჟავა. 4. მომღერალთა გუნდი მ. კავსაძისა. 5. ცოცხალი სურათები დახოცილ გვარდიელთა სამგლოვიარო მუსიკით.

ბალში. ამერიკული აუქციონი, ფოსტა, პტი-შვო, ყვავილები, აზიური სამიკიტნო დუდუკით. ვახშამი, რომელიც გაგრძელდება ნაშუაღამევის სრულ სამ საათამდე. დაუკრავს სახ. გვ. ცხენოსანთა დივიზიონის სამხედრო მუსიკა მიზანდარის ლოტბარობით. საგანგებო ბათალიონის სამხედრო მუსიკა ილინის ლოტბარობით. დაწვრილებით პროგრამებში. საღამოს დიასახლისი თამარა ფარულავას ასული. საღამოს პასუხისმგებელი გამგე ივანე ცომაია. (2375—2—2)

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მას აქვს დამზადებული საუკეთესო ღირსების

წისქვილის ქვები

ხელმისაწვდომ ფასებში. მისამართი: ქ. ზესტაფონი, ერობის გამგეობა. (2398 5—1)

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე **ხეჩინოვი**

იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

შრომის ხელშეკრულობა

მუშათა კანონმდებლობა მეტათ სუსტობდა ჩვენში. ამას ერთხმათ ამბობდა ყველა. ეს სწორიც არის და არც არის სწორი.

სწორია იმ მხრივ, რომ ჩვენ პარლამენტს და დამფუძნებელ კრებას მართლაც არ გამოუცია კანონები მუშათა კლასის შესახებ. სამაგიეროთ მუშათა მდგომარეობა სავსებით უზრუნველყოფილი იყო უკვე პარლამენტის მოწვევამდე გამოცემული დეკრეტებით. მიღება-დათხოვნა, ხელფასის განსაზღვრა, ხელშეკრულების დადება და ასრულება, მომრიგებელი კამერა და სხვა დაწესებულებანი, რომელთა მიზანია მოწესრიგება შრომის და კაპიტალის ურთიერთობის, თავიდანვე იყო შემოღებული უმეტესათ რევოლიუციური გზით და რევოლიუციური კანონმდებლობით.

მაგრამ რატომ აქამდე ვერ მოიცალა საკანონმდებლო კრებამ მუშებისათვის, მუშათა სახელმწიფოში.

სწორეთ იმიტომ, რომ ეს იყო მუშათა სახელმწიფო. ესე იგი მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობის სამეფო.

ასეთ პირობებში, ე. ი. როცა ახალი კლასი სდგება საზოგადოების პოლიტიკურ სათავეში—პირველი და მთავარი საკითხია ამ პოლიტიკურ იარაღით სარგებლობა—თავის ბატონობის ეკონომიური საფუძველის გასამაგრებლად და გასამტკიცებლად, რადგან მხოლოდ ასეთ ეკონომიურ გამაგრებას შეუძლია გადატრიალებას მტკიცე ხასიათი მისცეს და მკვიდრი გახადოს.

მუშათა კლასის მდგომარეობა კი ისეთია, რომ მისი მუშაობა ეკონომიური გარდაქმნისთვის ხანგრძლივი რევოლიუციური მუშაობაა, იგი ერთ და იმავე დროს ანგრევს და აშენებს.

კანონმდებლობითი გზა კი ამისთვის იმდენათ შესაფერი და გამოსადეგი არაა.

ბრძოლის წარმავალი მომენტები შეიძლება აღინიშნოს და ჩამოყალიბდეს პატარა ნოველებით, დეკრეტებით, მაგრამ არა ფართო საკანონმდებლო აქტებით. ამით აიხსნება მაგ. ის, რომ აგრარული კანონები—ეს უდიდესი რეფორმა, რომელიც განახორციელა ჩვენმა რევოლიუციამ, რამდენიმე მუხლიან კანონშია მხოლოდ ჩამოსხმული.

რევოლიუცია ცვალებადობის სინონიმია, იგი აქტუალობაა და არა მხოლოდ კანონმდებლობა. კანონმდებლობას უჭირს მისი ფორმებში ჩამოსხმა. კანონმდებლობა მხოლოდ ზოგიერთ მის ეტაპებს აღინიშნავს, აყალიბებს. მუშათა მდგომარეობა, როგორც ეკონომიური კატეგორიის, ასეთსავე სურათს იძლევა. აქ ხდება უდიდესი რევოლიუცია—მუშა მონა—იქცევა მუშა მოქალაქეთ. მუშა ხაზეინის მორჩილი, წარმოების ერთ-ერთ შეგნებულ, აქტიურ მამოძრავებელ ძალათ ხდება. მანქანის დამატებათ ყოფილი, მანქანის ამსულდგმულებლათ იქცევა. და ასე იქედება შრომის კონსტიტუცია. ასე ხდება დემოკრატიზაცია საწარმოო ურთიერთობაში.

ხაზეინი აღარ არის ბატონი. და მფლობელი მუშისა. ის არის მხოლოდ მესაკუთრე მანქანის, რომელთანაც სდგას და მოძრაობს თავისუფალი მოქალაქე, მასზე არა ნაკლებ დაინტერესებული წარმოების განვითარებაში.

მექარხნეს უნდა მოგება და ამ მოტივით ხელმძღვანელობს. მუშას უნდა ხელფასი, მარა ამასთანავე წარმოების განვითარება, საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვება, ქვეყნის აყვავება ეკონომიურათ. ე. ი. ის, რასაც წინეთ კაპიტალისტები თავის კეთილ გულს და „კულტუროსან“ ბუნებას აწერდენ.

მუშა ხდება საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი და განმახორციელებელი. მაშასადამე იგი უნდა იყოს სათანადო ადგილზე დაყენებული.

ქარხანა უნდა გახდეს ისეთსავე დემოკრატათ თავის წყობილებით, როგორც რესპუბლიკა პოლიტიკურ სფეროში. და მთავარ მამოძრავებელ ძალათ მუშისა უნდა შეიქნეს არა მათრახი და შიში ქუჩაში გაგდების, არამედ შეგნებული სამსახური საზოგადოდ საერთო წარმატების, რომელიც იმავე დროს არის წარმატება თვით მისიც.

ბურჟუაზიული იდეოლოგები, ვაჭრულ ფსიხოლოგიის მატარებელნი ისტერიკულ ყვირილს მორთავენ,—„უგნური“ მუშას ასეთ იდეალურ თვისებებს ვაწერთ. მათ ვერ წარმოუდგენიათ რაიმე მამოძრავებელი მოტივი გარეშე პირადი, ინდივიდუალური ეგოიზმისა. წმინდა საზოგადოებრივი, კოლექტიური მოტივი მათთვის უცნობია.

მარა ეს უცნობი არაა მუშებისათვის. მუშათა კანონმდებლობის ის პროექტი, რომელიც დღეს არის წარდგენილი დამფუძნებელ კრებაში და რომელსაც „შრომის ხელშეკრულება“ ეწოდება, სწორეთ ამ პრინციპზე არის აგებული. ამით იგი რევოლიუციურ სულს ატარებს, ახალ საფუძველს ქმნის შრომის მდგომარეობისათვის წარმოებაში.

იგი ყველას თავის უფლებას და მოვალეობას უნერგავს, თვითნებობას პირად შეხედულებას ლაგამს სდებს და გარკვეულ კალაპოტში აყენებს. ამით იგი მიილტვის სრული თავისუფალი შრომისაკენ. ამით იგი ემსახურება დამოუკიდებელ შრომისთვის ნიადაგის მომზადებას და იგი იმავე დროს ქმნის თვით წარმოებისთვის საუკეთესო პირობებს ნაყოფიერი შრომისა და წარმატებისათვის, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია კაპიტალის არსებობის ხანაში. იგი მუშათა გაუმჯობესების გზით მიდის შრომის სამეფოსაკენ.

აი ასეთია აზრი და მიზანი „შრომის ხელშეკრულების“ ძირითადი დებულებების.

ოსმალეთის მდგომარეობა

მოკავშირეთა სახელმწიფოებმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ოსმალეთს, ხოლო დადგენილების სისრულეში მოყვანა მიანდვეს საბერძნეთის მთავრობას. ჩვენ ვიცით, თუ რა დანაშაული მიუძღვით პატარა ერების წინაშე ოსმალეთის მესვეურთ. ვიცით აგრეთვე, რომ ამ ომის დროს და წინადაც, როგორც აბდულ-ჰამიდის მთავრობა, ისე მისი ფაქტიური და მორალური მემკვიდრე, ეგრედ წოდებული „ახალგაზდა ოსმალები“, ბერძნების მიმართაც ხშირად მიმართავდენ ხოლმე იანიჩარულ ზომებს და დარბევა-აწიოკებას.

ამ ომიდან საბერძნეთი გამოვიდა გადიდებული და ის ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ პირველ ხარისხოვან სახელწიფოდ გახდა. საუბედუროთ ამის შედეგი იყო „განდიდების მანიით“ გატაცება საბერძნეთის მმართველ წრეებში. თითონ ოდესმე ჩაგრულმა და დევნილმა ერმა დღეს თავს იდვა მეზობელ ერის განადგურება. სრული მზგავსებაა საბერძნეთის და პოლონეთის მოქმედებათა შორის. უკანასკნელიც ერთ დროს გმინავდა იმპერატორულ რუსეთის ხელში. რევოლიუციის წყალობით ის განთავისუფლდა და უმალვე დაავადმყოფდა ისეთი იმპერიალიზმით, რომლის განხორციელება მას არ შეეძლო არც თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის წყალობით და არც მისი შინაური ძალთა განწყობილების მიხედვით. როდესაც მისმა დამხმარე სახელმწიფოებმა დაინახეს, რომ ბრძოლის ველზე ის მარცხდებოდა, მასზე ხელი აიღეს და ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

საბერძნეთი დღეს, სააგენტოს ცნობით, იმარჯვებს. ასეთ მდგომარეობაში იყო პოლონეთი ამ რამდენიმე თვის წინ. ოსმალეთში და მთელს მუსულმანობაში საბერძნეთის შეტევა გამოიწვევს ერთსულოვან წინააღმდეგობას. რუსეთში პოლონეთის წინააღმდეგ შეერთდა ლენინ-მარტოვ-ბრუსილოვი. ოსმალეთს ასეთი შეერთება არ სჭირია, რადგანაც მუსულმანებში არამც თუ სოციალისტური არამედ ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ მიმართულებაზედაც სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება. იქ ყველა შეერთებულია ფაშებ-ხანების მეთაურობით და აბდულ ჰამიდის ყოფილი მინისტრები ხალხის დამცველად გამოდიან. საბერძნეთის შეტევა ამაგრებს ამ წრეს. მეორე მხრივ მთელი მუსულმანობის გულისწყრომას ვენიზელოსის მთავრობა საბერძნეთის ხალხის წინააღმდეგ მიმართავს. რამე ხიფათის დროს მოკავშირეებს ადვილად შეუძლიანთ გადაიბარგონ თავიანთ ქვეყნებში, ხოლო მეზობლად მცხოვრები ბერძნები დარჩებიან პირის-პირ გაბოროტებულ მუსულმანების წინაშე და ისევ დაიწყება ძველი ხანა ოსმალო-ბერძნების ჟლეტისა. დღევანდელ საერთაშორისო პირობებში სხვა ერების დაპყრობა დიდ სახელმწიფოებსაც არ შეუძლიანთ. მით უფრო სახიფათოა ეს შედარებით პატარა საბერძნეთისთვის. პოლონეთის ნაციონალ-დემოკრატებმა შეარცხვინეს მათი ახალი სახელმწიფო, ლიბერალ ვენიზელოსმა აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გამოიყვანოს თავის დროზედ. ბერლინის კონგრესის დასრულების შემდეგ კანცლერ ბისმარკს წარუდგა ოსმალეთის დელეგაცია და გადაუხადა მადლობა იმ დახმარებისთვის, რომელიც გერმანიის კანცლერმა გაუწია ოსმალეთს რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დროს. ბისმარკმა უპასუხა: წადით სახლში და მოუარეთ თქვენ ქვეყანას, ხელი შეუწყვეთ მის აყვავებას. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენგან ხეირი არ გამოვაო. ჩვენ დღეს ვიცით, რომ ახალ-გაზდა ფაშებიდან ხეირი არ გამოსულა და არც გამოვა. სწორედ ამისთვის გვინდა, რომ ისინი მოინელოს თვით ოსმალეთის ხალხმა, თუნდაცა დაგვიანებით. ეს იქნება ნამდვილი განთავისუფლება ოსმალეთის ერის საკუთარი და უცხოელ იმპერიალისტებიდან.

ბ. თეკლათელი.

დამფუძნებელი კრება
20 ივლისის სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები: კანონისა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების, საპროტეზო სახელოსნოს შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ და დეკრეტი ქ. ფოთში მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტზე ხიდის გასაკეთებლად 14,700,000 მ. გადადების შესახებ.

მისივე მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა ახალციხის მაზრის სოფელ აწყურისა და ადიგენის ამბულატორიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა საკლავ საქონელზე გადასახ. გადიდების შესახებ და დეკრეტი ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელის გასავრცელებლად 35,600,000 მან. გადადებისა და ამავე საჭიროებისათვის 44,350 მან. ღირებულ მასალის მიცემის შესახებ.

სახელმწიფო ბანკის მმართველის წინადადების თანახმად დამფ. კრება ბანკის მეორე გამგეობის წევრის თანამდებობაზე ამტკიცებს სამსონ კილაძეს.

პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა შრომის ხელშეკრულების შესახებ

ი. ფირცხალაიშვილი (შრომის კომისიის სახელით) მუშათა კანონმდებლობის შექმნის საკითხმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ეს საკითხი გარჩეულ იქნა მუშათა საერთაშორისო კონფერენციაზე. თუ წინათ სახელმწიფოს ჩარევა შრომის დარგში დავას იწვევდა დღეს ყველა აღიარებს იმ აზრს, რომ სახელმწიფოს ჩარევა შრომის დარგში აუცილებელია. ინგლისის კაპიტალისტები მეცხრამეტე საუკუნეში აღიარებდენ თავისუფალ ხელშეკრულებას მათ მიაღწიეს კიდეც თავიანთ მიზანს, მაგრამ ცხოვრებამ ისინი სასტიკათ დაამარცხა. მართლადაც, განა შესაძლებელია თავისუფალ ხელშეკრულებაზე ლაპარაკი იქ, სადაც ერთის მხრივ სდგას კაპიტალი და მეორეს მხრივ შრომა. კაპიტალი ისწრაფის მუშათა ექსპლოატაციისაკენ, მუშა კი ეძებს საშვალებას არსებობისათვის კაპიტალს აქვს საშუალება მუშა დაითანხმოს თავის სურვილისამებრ: ის სახელმწიფო, რომელიც თანასწორათ იცავს ყოველივე მოქალაქეს, ვალდებულია დაიჭიროს სუსტის მხარე, სახელმწიფომ უნდა დაიფაროს მუშა კაპიტალის ექსპლოატაციისაგან.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კანონმდებლობის გზით უნდა დაიცვას შრომა და ამავე დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ქვეყნის ეკონომიური მხარე, რომ საწარმოვო ძალთა განვითარება შეფერხებულ არ იქნას. არის ძველი დარჩენილი მუშათა კანონმდებლობა, რომელსაც შეცვლა უნდა. პოლიტიკური პირობები ამისათვის ხელსაყრელია, ეკონომიური კი ძნელია. ყველა სახელმწიფოში, სადაც კი ბრძოლა სწარმოებდა კაპიტალს და მუშის შორის, მთავრობა ყოველთვის კაპიტალის მხარეს იჭერდა. და თუ რამ გაკეთებულა მუშების სასარგებლოთ ეს ყოველთვის მუშათა კლასის მიერ ბრძოლით იყო მოპოვებული ხოლმე. ჩვენი სახელმწიფო სულ სხვა პირობებში იმყოფება. ჩვენი კანონმდებლობითი ორგანო მუშათა ინტერესების დამცველია და ჩვენი ვალიც არის ისეთი შრომის კანონმდებლობის შემოღება, რომელიც დაიცავს რა მუშათა ინტერესებს, ამავე დროს ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რა ძველ რევოლიუციამდე არსებულ მუშათა კანონმდებლობის უვარგისობას, აღნიშნავს აგრეთვე მას, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში შექმნილ შრომის კანონმდებლობა არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და მას გადასინჯვა სჭირია. წარმოდგენილ კანონით შრომის ხელშეკრულებას დაექვემდებარება ყველა. კანონი უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე—იქნება შრომა ფიზიკური, თუ ინტელიგენტური სახელმწიფო ყველას უნდა იცავდეს. დავა სწარმოებს იმის შესახებ, თუ სადამდე უნდა ვრცელდებოდეს სახელმწიფოს ჩარევა, ერთნი ამბობენ—მხოლოდ წარმოების ზოგიერთ დარგში ამ საკითხის გარშემო არ არსებობს ერთი განსაკუთრებული აზრი, მაგრამ ერთი ცხადია: რაც უფრო დემოკრატიული იქნება სახელმწიფო, მით უფრო სახელმწიფოს ჩარევის საქმე შრომის ყველა დარგებზე უნდა ვრცელდებოდეს. რასაკვირველია, გამონაკლისი შეიძლება იყოს მაგრამ პრინციპი კი უნდა იყოს ის, რომ შრომა ყველგან უნდა იქნას დაცული სახელმწიფოს მიერ.

შემდეგ ამისა მომხსენებელი ეხება რა მუშების მიღების საკითხს აღნიშნავს, რომ არ შეიძლება მწარმოებლებს ჰქონდეთ მინიჭებული უფლება თავიანთ სურვილისამებრ უკანტროლოთ მიღება მუშების. ასეთი ფუნქციები ვერც პროფესიონალურ კავშირებს დაეკისრებათ. მუშების მიღება უნდა ხდებოდეს ისეთი ორგანოს მიერ, რომელშიაც შევლენ ორივე მხარის წარმომადგენლები. ასეთი ორგანო არის ბირჟა, რომელიც აგებული იქნება პარიტეტულ ნიადაგზე.

ბევრი ფიქრობს ბირჟა არ უწევს ანგარიშს წარმოებას, ბევრს ჰგონია ბირჟა დაინტერესებულია მხოლოდ მით, რომ უშოვნოს ადგილი მუშებს და მექანიკურად აწარმოებს იგი ადგილების განაწილებას. ჩვენ ბირჟა წარმოდგენილი გვაქვს ისეთ დაწესებულებათ, სადაც სწარმოებს არა მარტო ადგილების განაწილება, არამედ—მხედველობაში იღებენ წარმოების განვითარების ინტერესს. შემდეგ მომხსენებელი ეხება სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ბირჟებს და იმ სარგებლობას, რომელიც მოიტანეს ზემოხსენებულმა ბირჟებმა.

კანონ პროექტში არის დაწვრილებით მოყვანილი თუ რა პირობებში შეიძლება მუშის დათხოვნა ადგილიდან; როგორი უნდა იყოს შინაური წესი ქარხნებში, ჩამოთვლილია კანონში უფლება და მოვალეობა როგორც ერთი მხარის, აგრეთვე მეორესი. და ის სასჯელი, რომელიც დაედებათ კანონის დამრღვეველთ.

ლ. შენგელაია (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მეტად მნიშვნელოვანი არის და ეს გვავალებს ობიექტივობა გამოვიჩინოთ მისი განხილვის დროს.

იმ ქვეყანაში, რომელსაც სათავეში უდგას მუშათა პარტია ყველაზე უწინ მუშათა კანონმდებლობისათვის უნდა მიექციათ ყურადღება. ჩვენი შრომის სამინისტრო ორ წელიწადზე მეტია რაც მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ერთი სერიოზული კანონი არ შეუმუშავებია. ჩვენში ფორმალურათ მაინც გაბატონებულია მუშათა პარტია, მაშასადამე, მეტის მოთხოვნა შეგვიძლია ვიდრე ეს არის ამ კანონში. ეს კანონი ვერ დააკმაყოფილებს ვერც კაპიტალისტებს და ვერც მუშებს. კოლექტიური ხელშე-

კრულება ეს არის ზავი კაპიტალს და შრომის შორის და ზავს ხომ გამარჯვებული მხარე უკარნახებს ყოველთვის, ამ კანონში კი არ სჩანს, რომელი მხარე არის გამარჯვებული. ორატორი ეხება მიღება-დათხოვნის საკითხს, ნარდით მუშაობას, ქარხანაში არსებულ შინაურ წესს და ამბობს: იმ დროს, როდესაც საკითხი დგება წარმოების სოციალიზაციის, ნაციონალიზაციის. კონტროლის შესახებ, აქ ამ დროს ისეთი წესების გატარება, როგორიც არის კანონში, დაგვიანებული არისო. ორატორს საჭიროთ მიაჩნია კოლექტიური ხელშეკრულება ვრცელდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზედაც. დასასრულ თავის სიტყვისას აცხადებს, რომ შედარებით მასთან რაც არის ეს კანონი არის ნაბიჯი წინ, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც შეიძლება გვქონდეს იმ ძალთა განწყობილების მიხედვით, რომელიც არსებობს ჩვენში ეს კანონი არის ნაბიჯი უკან.

თ. ღლონტი. აღნიშნავს, რომ თვით ის ფაქტი, რომ ამ კანონის განხილვის დროს დამფუძნებელ კრებაში მუშები სრულიად არ სჩანან (ადგილიდან: ეხლა მუშაობის დროა) მომასწავებელია იმისა, რომ ეს კანონი არ წარმოადგენს სულს და გულს მუშათა კლასისათვის. და სწორედ ამით აიხსნება ეს ინდიფერენტიზმი. ეხება რა კანონს, აღნიშნავს, რომ იგი აგებულია პარიტეტულ ნიადაგზე, მაგრამ თუ ასეთი პრინციპი მისაღებია ევროპაში, ჩვენში მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. იქ ბურჟუაზია დარაზმულ ძალას წარმოადგენს. ჩვენში ბურჟუაზია სუსტია და ამიტომ თანასწორ პირობებში ჩაყენება ბურჟუაზიის მიუღებელია. ჩვენი ბურჟუაზია არავითარ ღირებულებას არ ჰქმნის, იგი მთელ თავის ფულს სპეკულიაციას ანდობს, იგი არ არის მრეწველობის ელემენტი, მას, მართალია, მინიჭებული აქვს ყოველგვარი თავისუფლება, ხელფეხი გახსნილი აქვს, მაგრამ ბურჟუაზიას დღემდე ვერ დაუნახვებია თავისი უნარი. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა სახელმწიფო და თვითმართველობათა მოსამსახურეებზედაც ვრცელდებოდეს კოლექტიური ხელშეკრულება. უმთავრესი ნაწილი მუშა-მოსამსახურეებისა დაბანდებული არის სახელმწიფო და საერობო დაწესებულებებში და უმრავლესობის ინტერესები დაცულ უნდა იქნეს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სოფლის მუშებსაც და შრომის დაცვის კანონები მათზედაც უნდა ვრცელდებოდეს

გაგრძელება მსჯელობისა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

სამოქალაქო ომის გაღვივება სოფლად. „მორიგი მიზნები მუშათა კლასისა". ამ სათაურით ხარკოვის „პროლეტარში" მოთავსებულია წერილი, რომელმაც ავტორი არკვევს, თუ რა უნდა აკეთოს ამ ჟამად მუშათა კლასმა სოფლად უკრაინაში. ავტორი ეხება „კულაკებსა" და სოფლის მუშაკთა შორის გამართულ „სამოქალაქო ომის" მსვლელობას საერთოდ და აღნიშნავს, რომ ეგევე მიზანი უნდა დაისახოს დღეს უკრაინის მუშათა კლასმაცო. თან მიუთითებს ამ ომის სიძნელეზე და სწერს: „უკრაინაში საქმე ყველაზე უფრო რთულდება. პირველ ყოვლისა აქაური „კულაკი" უფრო ძლიერია; გარდა ამისა ღარიბები არა თუ არ იბრძვიან „კულაკის" წინააღმდეგ,—ხშირათ იცავენ კიდეც მას. 14 მთავრობა გამოიცვალა უკრაინაში და სწორეთ ამან შექმნა ასეთი მდგომარეობა: როდესაც თეთრგვარდიელები მოდიოდენ უკრაინაში, ღარიბები „კულაკებს" აფარებდენ თავს, როდესაც ჩვენ მოვედით,—ღარიბები სამაგიერო სიკეთეს უშვრებიან მათ და იფარებენ განსაცდელისაგან. გარდა ამისა ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ სუსტები ვართ (3-ჯერ მოვედით და 3-ჯერ წავედით), ფიქრობენ, რომ ჩვენ ისევ მალე წავალთ და მათ მოუხდებათ თავის შეფარება ისევ „კულაკებთან". ამით ისარგებლეს „კულაკებმა" და მოისყიდეს სოფლის ღარიბები. ამიტომ, ათავებს ავტორი, საჭიროა დიდი მუშაობა, რათა სოფელში გაღვივებულ იქნეს „სამოქალაქო ომი". („პროლეტ.", № 4).

ბოროტ-მოქმედება და უანგარიშობა. საგუბერნიო ინსპექციის „ცენტროსექციის" საწყობების რევიზიის დროს აღმოჩენილ იქნა დიდი უანგარიშობა და ბოროტმოქმედება. თვითეული მოსამსახურისათვის დაურიგებიათ 28 არშინი ფართალი—ნარმა, საშარელი, მანუფაქტურა და სხვა—სულ 742,923 მ. ღირებული. საქონლის საანგარიშო წიგნში აღნიშნული საქონელი გატარებული არ არის. გასავლის ორდერების გადასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ორდერების უმრავლესობა გაცემულია კერძო პირებზე. სახალხო სიმდიდრე ნიავდება ისეთ პირების მიერ, რომლებიც ახლო იდგენ ცენტროსექციასთან. უხვათ აძლევდენ მტკიცე ფასებში: მანუფაქტურას, ძეხვებს, ზეთს, კანფეტებს კაკაოს, ყავას და სხ. იმ დროს, როდესაც „ცენტროსექციასთან" ახლო მდგომი პირები ჩაცმულ დახურულნი არიან —კოოპერატივები დაცარიელებულია და ხალხი სრულიად არაფერს არ ღებულობს. („პროლეტარი", № 4).

ბრძოლა შრომის დეზერტირობასთან. საგზაო-სამიმოსვლო სახალხო კომისარმა—ტროცკმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: თვითეული მუშა და მოსამსახურე, რომელიც თავის ნებით არ გამოვა სამუშაოთ ან 3 დღის განმავლობაში არ გამოგზავნის ცნობას, რომელიც დაამოწმებს მოუსვლელობის საპატიო მიზეზს,—ასეთი პირი შრომის დეზერტირათ ჩაითვლება. ადმინისტრაცია ამ ბრძანების ძალით ვალდებულია ასეთ პირების შესახებ შეატყობინოს დეზერტირობასთან მებრძოლ სათანადო კომისიებს; უნდა აღინიშნოს შემდეგი ცნობები: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი, 2) სამსახურის ალაგი (სახელოსნო სახლი, დეპო და დაწესებულება), 3) თანამდებობა და სპეციალობა (თუ დეზერტირი ასეთ სამუშაოს ასრულებდა), 4) საცხოვრებელი ალაგი (ცალკე დეზერტირისა და ცალკე ოჯახის). ასეთი ცნობები უნდა წარმოდგენილ იქნეს არა უგვიანეს 4 დღისა მას შემდეგ, რაც დეზერტირი პირველად არ გამოცხადდა. ცნობების მიღების შემდეგ „კომპუტდეზერტირმა" (დეზერტირობასთან მებრძოლ ორგანომ) უნდა მიიღოს ზომები დეზერტირების მოსანახავათ და დასასჯელათ დანაშაულობის მიხედვით, დეზერტირი გადაეცემიან უკიდურეს შემთხვევაში „ჟელდორვოენტრიბუნალს" (რკინის გზის სამხედრო ტრიბუნალი). თუ დეზერტირი თავისი ნებით სურვილს განაცხადებს კვლავ დაიწყოს მუშაობა,—ეს ეცნობება სათანადო ორგანოს. მაგრამ მაინც ეს არ ანთავისუფლებს ასეთებს სასჯელისაგან. შრომის დეზერტირობასთან მებრძოლ კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ბრძანების ასრულებას და მისი დამრღვეველნი სასტიკათ დასაჯოს. ხელს აწერს: სახალხო კომისარი ტროცკი". („პრავდა" № 100).

გლეხების „გარდაქმნა" კომუნისტური პროპაგანდით. სოფელში მუშაობის გასაუმჯობესებლათ ივნისის პირველ ნახევარში მოსკოვში მოწვეულ იქნა სრულიათ რუსეთის თათბირი. თათბირზე კომუნისტების პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ნევსკიმ, რომელმაც შემდეგნაირად დასურათა კომუნისტების მუშაობა სოფლათ: მომხსენებელი აქვეყნებს ცნობებს 20 გუბერნიის შესახებ; როგორც ცენტრალურ, ისე განაპირა გუბერნიებში კომუნისტურ ორგანიზაციებში 90 ათასამდე გლეხი—კომუნისტი ყოფილა ჩაწერილი. ყველა აღნიშნულ 20 გუბერნიაში 300-მდე გლეხთა „იაჩეიკა" ითვლება, თითო „იაჩეიკაში" 15-მდე წევრი. მრავალ-მილიონიან გლეხთა მასსასთან შედარებით ეს რიცხვი, რასაკვირველია, ცოტაა; მაგრამ მომხსენებელის აზრით, ის მაინც დიდი გამარჯვებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კომუნისტურ მუშაობას გლეხობა მტრულათ ექცევა,—ასეთი მტრობა ჩაქსოვილია მის ფსიხიკაში, მთელ მის ცხოვრების წესში. კომუნისტური პარტია მთავარ ყურადღებას სოფლათ აქცევდა აგრეთვე სავალდებულო შრომის ბეგრის გატარებას. შემდეგ მომხსენებელი აღიარებს სოფელში მუშაობის გაძლიერების დიდ საჭიროებას და შემდეგი სიტყვებით ათავებს თავის მოხსენებას: რაც უფრო მალე შევსძლებთ ჩვენ ახლო წლებში სოფლის დაპყრობას, რაც უფრო მალე გარდავქმნით გლეხურ მასსას კომუნისტური პროპაგანდით,—მით უფრო დავაჩქარებთ ძველი ქვეყნის განადგურებას და ახალის შექმნას. („პრავდა", № 126).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 ივლისი.

ფრანგული ცნობები.

პოლონეთის სოციალისტების მოწოდება.

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მთელი ქვეყნის სოციალისტურ ორგანიზაციებს მიმართა. ამ მიმართვაში მან აღნიშნა, რომ პოლონეთი იბრძვის თავის არსებობისათვის და ის სოციალისტები, რომლებიც პოლონეთის წინააღმდეგ აწარმოებენ კომპანიას, ამით ბალშევიკების ჯარებზე დაყრდნობილ რუსულ იმპერიალიზმს ეხმარებიანო.

მოკავშირეთა პასუხი ოსმალეთისადმი.

შაბათს ვერსალში ოსმალეთის რწმუნებულებს ჩააბარეს მოკავშირეთა პასუხი. პასუხთან თანდართული წერილი ყურადღებას აქცევს მას, რომ ომის პასუხისმგებლობა არა ნაკლებ აწევბა ოსმალეთს, ვიდრე მოკავშირეებს. ოსმალეთის ომში ჩარევას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს. მისმა ღალატმა გამოიწვია ომის გაგრძელება სულ უკანასკნელი 2 წლით მაინც. ამის მიზეზია რამდენიმე მილიონი კაცის დაღუპვა და რამდენიმე მილიარდ ფულის დახარჯვა. ოსმალებმა ჩაიდინეს მხეცობა, რომელიც აქამდის არავინ იცოდა. ამოულეტილია 800,000 სომეხი, 20,000 ბერძენი. 200000 სომეხი განდევნილია ოსმალეთიდან. ამის გამო მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ყველა ტერიტორია, რომელზედაც ოსმალო მცხოვრებნი უმეტესობას არ შეადგენენ, გაანთავისუფლონ ოსმალთა მონობისაგან. თუ ოტომანის მთავრობა საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უარს განაცხადებს, კიდევ მეტი, თუ ის ვერ შესძლებს ანატოლიაში თავის უფლების აღდგენას და ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ასრულებას, მაშინ მოკავშირეები, ხელშეკრულების თანახმად, იძულებულნი შეიქნებიან ხელ ახლა განიხილონ ხელშეკრულება და ოსმალები ევროპიდან საბოლოოთ განდევნონ.

ცნობის უარყოფა.

ჰავასის სააგენტოს სოფიოდან ოფიციალურად შეატყობინეს: ბულგარეთში მობილიზაციის გამოცხადების ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამებაო.

სირიის საკითხი.

„პტი პარიზიენი"-ის ცნობით ემირ-ფეისალი ევროპაში წავიდა, რათა მიაღწიოს სირიის დამოუკიდებლობის აღიარებასა და მის გაერთიანებას.

ბალშევიკების პასუხი.

ჰავასის სააგენტოს ლონდონიდან მოუვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბალშევიკებმა ინგლისს უპასუხეს: ისინი მზად არიან შეკრან დროებითი ზავი, თუ ამას პოლონეთი სთხოვს, მაგრამ ამავე დროს ისინი არც ერთ სახელმწიფოს არ აძლევენ ამ საქმეში ჩარევის უფლებას.

აჯანყება ანგორაში.

კონსტანტინოპოლში მოსული დეპეშა იუწყება ანგორაში მომხდარ აჯანყების შესახებ. მოძრაობის ხელმძღვანელნი არიან ქურთები.

დიდი ვეზირის განცხადება.

გაზ. „ბოსფორში" დიდმა ვეზირმა განაცხადა, ნაციონალისტების ისმიდზე შემოტევის გამო ხელშეკრულების შეცვლის ყოველივე იმედი დაიკარგა. მხარის მდგომარეობა უარესდება. დიდი ვეზირი ფიქრობს, რომ სამეფო საბჭო ნაციონალურ ინტერესების მიხედვით გამოიტანს გადაწყვეტილებას. ნაციონალისტებს, პირიქით იმედი აქვთ, რომ ოსმალები ბალშევიკების პოლონეთზე გამარჯვებას გამოიყენებენ.

მუსტაფა ქემალი და საზავო ხელშეკრულება.

გაზ. „ტანს" კონსტანტინოპოლის კორესპოდენტი აუწყებს, რომ მუსტაფა ქემალი განაგრძობს რა მოსკოვთან დამოკიდებულებას, საბჭოთა მთავრობას დახმარებას სთხოვსო. ამის გამო შესდგება კონფერენცია.: (დამახინჯებულია) ამ თათბირს დაესწრება კონსტანტინოპოლის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი. ფიქრობენო, ნათქვამია დეპეშაში, რომ ბალშევიკები ურჩევენ ოსმალებს ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას, რათა ამით მოიგონ დრო და შეძლება ექნეთ მცირე აზიაში ბალშევიკურ და ნაციონალურ ძალთა დაგროვება-დარაზმვისა.

პოლონეთის ჯარი ამ ჟამად იცავს ბრესტისა და გროდნოს გზას, პოლონეთის ჯარმა აქ არა თუ დაუთმო მტერს ადგილი, არამედ —იგი რამდენიმე კონტრიერიშით უკუ აგდო. უკანა რაზმის ბრძოლას მიზნათ აქვს დაცვა მრავალი ლტოლვილებისა, რომელნიც წითელ ტერორს გამოექცევიან. გამამხნევებელი ცნობები მოდის პოლონეთის ყოველი მხრიდან. საშინელების წინაშე დამოუკიდებლობის დასაცავათ ერი გასაოცარ გმირობას იჩენს. ვარშავაში სიწყნარეა. მომენტის ლოზუნგია: ყოველივე ომისათვის. პოლიტიკურ წრეების აზრით კრიტიკულმა მომენტმა გაიარა, და ეხლა დამშვიდებით მოელიან საბჭოთა პასუხს ინგლისის წინადადებაზე.

პრინც იოახიმის თვითმკვლელობა.

ბერლინიდან მოსული დეპეშა იუწყება პრუსიის პრინცის იოახიმის თვითმკვლელობის შესახებ.

სომხეთი და საბჭოთა რუსეთი.

სომხეთმა საბჭოთა მთავრობის ულტიმატუმი უარყო და... (გამოტოვებულია) ზანგეზური და ყარაბახი, რაც გამოიწვევდა ამ ტერიტორიაზე პირდაპირ კონტაქტს ბალშევიკებსა და ქემალისტებს შორის.

იტალია და ავსტრია.

იტალიის ოფიციალური ცნობით სენჟერმენის ხელშეკრულების რატიფიკაციამ ბოლო მოუღო იტალიის მიერ ავსტრიის ოკუპაციას.

რუმინია და ბულგარეთი.

გაზ. „დებას" ცნობით ტაკე იონესკო მზათ არის დობრუჯის შესახებ შესათანხმებლათ ბულგარეთთან მოლაპარაკება დაიწყოს.

პოლონეთის შტაბის ცნობა.

ივლისის 18. ლიდა ბალშევიკებმა დაიკავეს. მტერი ჩვენ მოწინავე რაზმების წინააღმდეგ შეტევას აწარმოებს და ყოვლის მიმართულებით თავს იყრის შემოსატევათ.

ბალშევიკების ცნობები.

ინგლისურ რადიო-ტელეგრაფისტთა გაფიცვა.

ინგლისის თითქმის ყველა სავაჭრო და სამგზავრო გემზე უმავთულო ტელეგრაფის მოსამსახურეებმა მუშაობა შესწყვიტეს. გაფიცვის ჩაქრობის მიზნით საზღვაო ტრანსპორტის საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა გემების გაგზავნა უტელეგრაფისტებოთ.

მოწოდება საბჭოთა რუსეთისა და საბ. უკრაინის მუშებისა, გლეხებისა და ყველა პატიოსან მოქალაქესადმი.

სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვის (ლენინის) სახ. სამხედრო კომ. ტროცკის, საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინის და იუსტიციის სას. კომ. კურსკის ხელმოწერით გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: ინგლისის მთავრობამ მოგვმართა ივლ. 11 წინადადებით, რომ ჩვენ შეგვეწყვიტა ომი პოლონეთთან და დაგვეწყო საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან და სხვა განაპირა სახელმწიფოებთან. ისინი გპირდებოდნენ: თუ შეკრავთ დროებით ზავს, პოლონეთის ჯარები დაიხევენ იმ საზღვრებამდე, რომელიც აღნიშნული იყო წინა ნოტაშიო. ისინი წინადადებას იძლეოდენ ხელი არ გვეხლო ყირიმის „თავშესაფარში" მყოფ ვრანგელისათვის. ყველა ამაზე ჩვენ სახ. კომ. საბჭომ, უარით ვუპასუხეთ. ამ მოქმედებაში ჩვენ ანგარიშს ვაძლევთ რუსისა და უკრაინის ხალხს დ̃ მტკიცედ გვჯერა,რომ ჩვენი სიტყვა პოლონელ ხალხსაც მისწვდება. ინგლისს რომ ომი არ სდომოდა, მაშინ მას არ უნდა მიეცა პოლონეთისათვის სამხედრო მოწყობილობანი და ფულები. ინგლისი მოლაპარაკებას აწარმოებს მხოლოდ იმიტომ, რომ დააძინოს თავისი მუშები. ლორდ კერზონი გვითითებს ხალხთა ლიგაზე, რომლის სახელითაც ის გამოდის და რომლის შემადგენლობაშიც შედის პოლონეთი, ის პოლონეთი, რომელმაც ჩვენ ომი დაგვიწყო. ხალხთა ლიგის ყველა წევრი, განსაკუთრებით საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკა შეკავშირებული არიან პოლონეთის მიერ ჩვენ წინააღმდეგ ომის პროვაკაციის საქმეში. მარტის 9 ჩვენ მივმართეთ მათ, რომ შეეჩერებინათ ჩვენს წინააღმდეგ აწეული ბოროტი ხელი, მაგრამ მათ პასუხი არ გვაცვეს. პოლონელების თეთრგვარდიელთა ჯარები დაამარცხეს წითელმა ჯარებმა და ინგლისი ეხლა გვაძლევს წინადადებას მივიღოთ მისი შუამდგომლობა პოლონეთთან დროებით ზავის დადებაში. ლორდ კერზონი არ კმაყოფილდება პოლონეთის საკითხით დ̃ წინადადებას გვაძლევს შევსწყვიტოთ ომი ვრანგელთან. იგი აცხადებს, რომ ვრანგელი აწი მშვიდობიანათ იქნებაო. კერზონი აცხადებდა სავაჭრო დაწესებულების პირობას წარმოადგენს რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ვალდებულობა, რომ ერთმანეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერიონ და ჩვენი თანხმობის მიღების შემდეგ იგი არა თუ მარტო ერევა რუსეთის შინაურ საქმეებში, არამედ რუსეთის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილებს იგი საჩუქრად აძლევს ინგლისის იმპერიალიზმის მოსამსახურე ვილაც გამვლელ-გამომვლელებს. არც ხალხთა ლიგა და არც ლორდ-კერზონი არ არის მოწოდებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შინაურ საქმეებში ჩასარევად და იმ სამოქალაქო ომის მოსაწესრიგებლად, რომელიც მათ გამოიწვიეს და დაანთეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინა რადიო ნოტა ამტკიცებს მის ნამდვილ მიზნებს, რომელიც გამოიხატება ჩვენს წინააღმდეგ მოსეული პილსუდსკისა და ვრანგელის განადგურებისაგან გადარჩენაში, რათა ამგვარათ მათ მისცენ საშუალება შესვენებისა, შეიარაღებისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ ახალ გამოლაშქრებისა. ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთისა და უკრაინის მშრომელი ხალხი ახალი ომის საშიშროების წინ დაგვეყენებია. ჩვენ უარვყოფთ დიდი ბრიტანეთის შუამდგომლობას. ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ იმ საშინელ დ̃ ისტორიაში არ ყოფილ ბოროტმოქმედებაზე, რომელსაც ხალხთა ლიგის ცბიერი სახელით ფარავენ. ჩვენი უარი მტრის შუამდგომლობაზე არ ნიშნავს პოლონეთისადმი ჩვენი პოლიტიკის შეცვლას. საბჭოთა რუსეთმა გამოიჩინა ფრთხილი ყურადღება მცირე ერთა უფლებისადმი. ამის მაგალითია ესტონეთი, საქართველო და ლიტვა. ამ ქვეყნებთან ჩვენ ზავი შევკარით ერთა ლიგის უშუამავლოდ. ფინეთთან, ლატვიასთან და სომხეთთან დაწყებული საზავო მოლაპარაკება ამ ახლო ხანში ამ ქვეყნებთან მშვიდობიან დამოკიდებულების დამყარებას შეგვაძლებინებს. საბ. მოსკოვმა არა ერთხელ მიმართა ვარშავას ზავის შესაკვრელად. თუ იგი ეხლა უშუალოდ მოგვმართავს ჩვენ, მაშინ რუსეთსა და პოლონეთს შორის უფრო ადრე, უფრო საიმედო და მტკიცე ზავი დამყარდება. მაშინ პოლონეთის ნამდვილი საზღვარი იქნება ლონდონისა და პარიზის იმპერიალისტების მიერ დასახულ საზღვრის აღმოსავლეთით. თუ პოლონეთის ხალხს სურს მიიღოს საპატიო ზავი და დაამყაროს საპატიო საზღვარი რუსებთან, ამ თავის მოძმე ხალხთან, საჭიროა, მან თვითონ მოინდომოს ეს. მასთან ჩვენ უფრო ადრე მოვილაპარაკოთ საპატიო ზავის შესახებ. უარყოფთ რა ხალხთა ლიგის შუამდგომლობას თეთრ პოლონეთსა და ვრანგელთან ბრძოლაში, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ მოლაპარაკების გაგრძელებაზე ინგლისსა და სხვა ქვეყნებთან, რომელნიც შედიან, ან არ შედიან ხალხთა ლიგაში. ჩვენი საზავო პოლიტიკა უცვლელად რჩება. ჩვენ ყოველ წუთში მზათა ვართ სავაჭრო დამოკიდებულება დავიჭიროთ ინგლისის მრეწველობასა, ვაჭრებს და კაპიტალისტებთან. ჩვენ მხოლოდ უარვყოფთ მათ უფლებას, რომ ისინი გამოვიდნენ პატარა ეროვნებათა მხსნელებისა და სამოქალაქო ბრძოლის ჩამქრობელთა როლში. ჩვენ კარგათ ვიცნობთ მათ და ამიტომ არ ვენდობით. ჩვენ ვაფრთხილებთ საფრანგეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების მშრომელთა მასას არ ენდონ ბურჟუაზიულ მთავრობას.

ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

ლონდონი. „დეილი გერალი" სწერს: „შესაძლებელია, რომ კრასინთან მოლაპარაკება სრულიად შესწყდება და მას წინადადებას მისცემენ დასტოვონ ლონდონი. ამ შემთხვევაში მოკავშირენი აქტიურ ზომებს მიმართავენ და ყველა ანტი-ბალშევიკურ ძალას დახმარებას აღმოუჩენენ. ამ შემთხვევაში ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტენსიურ ხასიათს მიიღებს, ლოიდ ჯორჯი კატეგორიულათ მოითხოვს მოსკოვის მთავრობისაგან რომ, მან გარკვეული პასუხი გასცეს მოკავშირეების მიერ დასმულ კითხვაზე.

ჟენევა. შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ორგანო „სანტინელი" იუწყება: საბჭოთა მთავრობამ შვეიცარიას წინადადება მისცა ყველა საქონლის ღირებულება ოქროთი იქნეს გადახდილიო. წინასწარ მოლაპარაკებით გათვალისწინებულია ერთ-ერთ შვეიცარიის ბანკში „ოქროს კანტორის" დაარსება.

სხვა და სხვა სახელმწიფოების წესწყობილება

(იხ. „ერთ." № № 151, 152, 153, 156, 157, 158, 162)

პორტუგალია.

(რესპუბლიკა)

პორტუგალიაში რევოლიუციამ იფეთქა 1910 წ., რასაც მოყვა მონარქიული წყობილების მოსპობა და **რესპუბლიკის გამოცხადება.**

პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1911 წ. აგვისტოს 21, ასე იწყება:

„თავის სხდომაზე 1911 წ. ივნისის 19 **ნაციონალური დამფუძნებელი კრება** ერთსულოვნად იწონებს 1910 წ. ოქტომბრის 5 რევოლიუციას, გამოსთქვამს შეურყეველ რწმენას სამშობლოს მომავალი ბედნიერებისათვის თავისუფლების და სამართლიანობის ბატონობის დროს, ადგენს და აქვეყნებს მთელი ნაციის სახელით ქვემორე მოყვანილ პორტუგალიის რესპუბლიკის პოლიტიკურ კონსტიტუციას".

პორტუგალიის კონსტიტუცია დამყარებულია ხალხის სუვერენიტეტსა და რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობაზე. ეს კონსტიტუცია ერთი საუკეთესო ახალ დემოკრატიულ კონსტიტუციათაგანია.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის **კონგრესს**—პარლამენტს, შემდგარს ორი პალატისაგან: დეპუტატთა პალატა და სენატი. ორივე პალატას პირდაპირ ირჩევს ხალხი. დეპუტატები ირჩევიან სამი წლით. სენატორები—ექვსი წლით.

პალატას აქვს განსაკუთრებული უფლება საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ გადასახადებისა, სამხედრო ორგანიზაციისა, აღმასრულებელი ხელისუფლების წინადადების განხილვისა, პრეზიდენტის და მინისტრების პასუხისგებაში მიცემისა, კონსტიტუციის გადაშინჯვისა და სხ.

სენატის განსაკუთრებულ უფლებას შეადგენს მოიწონოს თუ უარყოს წინადადება რესპუბლიკის გუბერნატორთა თუ კომისართა დანიშვნისა ზღვის გაღმართი პროვინციებისათვის.

სხვაფერ პალატები თანასწორნი არიან. ყოველი კანონ-პროექტი მოწონებული და მიღებული ერთი პალატის მიერ, კანონად იქცევა მეორე პალატის დასტურის მიუღებლადაც, თუ უკეთუ ეს მეორე პალატა არ განიხილავს მას განსაზღვრულ ვადაში.

კონგრესის ხელშია: კანონმდებლობა, კანონის განმარტება, კონსტიტუციის და კანონის დაცვის მეთვალყურეობა, ბიუჯეტი, ხელშეკრულებათა დადება, ომი და ზავი, დროებით და ნაწილობრივ საკონსტიტუციო გარანტიების გაუქმება მტრის შემოსევის და შინაურ საშიშროების დროს და სხ. კონგრესსავე ეკუთვნის სამოსამართლო ხელის-უფლების ორგანიზაცია, ამნისტია, პრეზიდენტის არჩევა და გადაყენება და სხ.

კონგრესი სრულიად დამოუკიდებელია. ის თვითონ თავის ნებით იკრიბება, არავის მოწვევას არ უყურებს. მას ვერავინ ვერ დაითხოვს. **ამის უფლება პრეზიდენტს არა აქვს.** პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელის-უფლების მეთაური, ვალდებულია გამოაქვეყნოს ყოველი კანონი 15 დღის განმავლობაში. **კანონი არ საჭიროებს პრეზიდენტის დასტურს—დამტკიცებას.**

რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრები წარმოადგენენ აღმასრულებელ ხელის უფლებას. პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი (კონგრესი) 4 წლით წევრთა $^2/_3$ უმრავლესობით. მისი გადაყენება შეიძლება პარლამენტის $^2/_3$-ის დასაბუთებული დადგენილებით.

პრეზიდენტის უფლებაა: მინისტრთა დანიშვნა, კონგრესის საგანგებო სესიის მოწვევა, თუ ამას მოითხოვს ერთა ინტერესი, გამოქვეყნება კანონთა, დანიშვნა მოხელეთა მინისტრთა თანხმობით, სახელმწიფო წარმომადგენლობა შინ და გარეთ და სხ. საალყო წესებს აცხადებს მინისტრებთან შეთანხმებით. ხელშეკრულებათა რატიფიკაცია ეკუთვნის კონგრესს.

პრეზიდენტი პასუხისმგებელია ღალატისათვის, კონსტიტუციის დარღვევისთვის და სხ. მაგრამ იგი პასუხს არ აგებს მინისტრების ადმინისტრატიულ მოქმედებისათვის.

პრეზიდენტის ყველა აქტს ხელს აწერს ესა თუ ის მინისტრი. ყოველი მინისტრი პასუხისმგებელია პოლიტიკურათ, მოქალაქობრივად და სისხლის სამართლის წესით იმ აქტებისათვის, რომელთაც ის ამოწმებს. **ერთი მინისტრთაგანი არის მინისტრ-პრემიერი**, რომელიც პასუხისმგებელია თავისი სამინისტროს მოქმედებისა და საერთო პოლიტიკისათვის. ამ ნაირათ დაცულია **პარლამენტარული სისტემა.**

პორტუგალიის პრეზიდენტი უფლების სიძლიერით სრულიად არ წააგავს ჩრ.-ამერიკის და საფრანგეთის პრეზიდენტებს. ის ერთობ შეზღუდულია. მას არ აქვს უფლება სახელმწიფოსაგან მიიღოს სახელმწიფო შენობაც კი პირადი ან ოჯახურათ სარგებლობისათვის. პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ღთქმას სდებს: ვადასტურებ ჩემის პატიოსნებით, რომ ერთგულად და სწორად შევასრულებ რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს, ვიზრუნებ ერის საერთო კეთილდღეობისათვის, დავიცავ პორტუგალიის სამშობლოს მთლიანობას და დამოუკიდებლობასო.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი უზრუნველყოფილია. არსებობს Habaas corpus ორდენები და წარმატების ნიშნები (გარდა სამეცნიერო ხარისხისა). წოდებრივი განსხვავება გაუქმებულია.

ეკლესია განცალკევებულია სახელმწიფოსაგან.

საყურადღებოა, რომ **კონსტიტუცია აღიარებს სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს პრინციპს საერთაშორისო ურთიერთობაში.** ეს სხვათა შორის, ახასიათებს პორტუგალიის კონსტიტუციის დემოკრატიულ სულს.

სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება თვალყური ადევნოს რამდენად კონსტიტუციურია ესა თუ ის კანონი თუ დეკრეტი.

პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია საკმაოდ დემოკრატიულია. მაგრამ იქ არაფერი არაა ნათქვამი სოციალურ-ეკონომიურ უფლებებზე, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს ახალი დემოკრატიული კონსტიტუციისთვის.

პორტუგალიის კონსტიტუცია გადაიშინჯება ყოველ ათს წელიწადში ერთხელ. როდესაც დადგება გადაშინჯვის დრო, ჩვეულებრივი კონგრესი ითვისებს **დამფუძნებელ ხელის უფლებას.** გადაშინჯვა შეიძლება მოხდეს ხუთი წლის შემდეგაც, თუ ეს კონგრესის წევრთა $^2/_3$-მა მოიწონა. **არ შეიძლება გადაშინჯვის საგნად გახდეს წინადადება რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის ფორმის შეცვლისა.**

ადგილობრივი მართველობა და თვითმართველობა ემყარება წმინდა დემოკრატიულ პრინციპს და ფართო უფლებებით არის აღჭურვილი. იგი გულისხმობს **რეფერენდუმის შემოღებას და უმცირესობის წარმომადგენლობას ადგილობრივ.**

პორტუგალიასაც აქვს კოლონიები, ზღვის გაღმართი პროვინციები, რომელთა მმართველობა დეცენტრალისტურია და ემორჩილება განსაკუთრებულ კანონებს, თვითეულ პროვინციის კულტურული მდგომარეობის მიხედვით.

ასეთია პორტუგალიის რესპუბლიკანური კონსტიტუცია.

ისპანია.

ისპანია **კონსტიტუციური მონარქიაა.** მისი უკანასკნელი კონსტიტუცია არსებობს 1876 წლიდან.

კონსტიტუციით აღიარებულია პიროვნების თავისუფლება, ბინის შეუვალობა, რწმენის, კრების, კავშირის, სიტყვის უფლება.

კათოლიკური სარწმუნოება გამოცხადებულია სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად. კონსტიტუცია ამბობს, რომ „ნაციამ უნდა შეინახოს ეკლესია და მისი მსახურნი". სხვა სარწმუნოება შევიწროებულია. ამნაირათ ეკლესია გამოყოფილი არ არის სახელმწიფოსაგან.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის **კორტესებს** (პარლამენტს) მეფესთან ერთად. კორტესები შესდგებიან ორი სრულიად თანასწორ კრებულისაგან: სენატი და დეპუტატთა პალატა.

სენატი შესდგება 400 დე წევრისაგან. ნახევარს შეადგენენ: მეფის და მემკვიდრის სრულწლოვანი შვილები, მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენელნი, ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის წარმომადგენელნი და მეფისაგან დანიშნულნი პირნი, რომელნიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ ქონებრივ ცენზს. მეორე ნახევარს 10 წლით ირჩევენ საზოგადოებანი და პირნი, რომელნიც იხდიან ყველაზე დიდს გადასახადს. სენატორი შეიძლება იქნეს მხოლოდ ისპანელი, შეუზღუდველი უფლებით, რომელსაც შესრულებია 35 წელი.

დეპუტატებს ირჩევს ხალხი არაპირდაპირად. არის საყოველთაო საარჩევნო უფლება, რამოდენიმედ შეზღუდული. ქალებს არა აქვთ პოლიტიკური უფლებები. დეპუტატები ირჩევიან ხუთი წლით. თვითეული დეპუტატი მოდის 50,000 სულზე არჩეული შეიძლება იქნეს ყოველი მოქალაქე. გარდა სასულიერო წოდების პირისა და ზოგიერთი თანამდებობის წარმომადგენელისა.

კორტესები ყოველწლივ იკრიბებიან. ისინი ღებულობენ ფიცს მეფისაგან კონსტიტუციისადმი ერთგულების შესახებ, ირჩევენ რეგენტს, პასუხისგებაში აძლევენ მინისტრებს (ასამართლებს სენატი). კორტესების წევრნი ხელშეუხებელნი არიან. პასუხს არ აგებენ სიტყვისა და ხმის მიცემისათვის.

მეფე უპასუხისმგებლოა. ის იწვევს და სდებს სესიებს. ითხოვს კორტესებს როგორც ერთად ისე ცალ-ცალკე პალატებს. სენატის დათხოვა შესაძლებელია ნაწილობრივად. მეფე ნიშნავს სენატის წევრებს და მის თავმჯდომარეს. ამასთანავე ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს. აცხადებს ომს, ბრძანებლობს სამხედრო ძალებს. სდებს ხელშეკრულებას, კრავს ზავს, აქვს შეწყალების უფლება, ამტკიცებს კანონებს და სხ.

განსაკუთრებული კანონია საჭირო იმისთვის, რომ მეფემ გასცეს, დაუთმოს ან გაცვალოს ისპანიის ტერიტორიის რომელიმე ნაწილი, შემოუერთოს უცხო ტერიტორია ისპანიისას, შემოუშვას უცხოეთის ჯარი სახელმწიფოში, დაამტკიცოს ხელშეკრულობანი, უარი სთქვას ტახტზე მემკვიდრის სასარგებლოდ. რომელიმე ხელშეკრულობის ფარული მუხლი ვერ დაარღვევს იმავე ხელშეკრულობის ცხადს მუხლს. ეს დამახასიათებელია ფარული დიპლომატიისთვის.

მინისტრები პოლიტიკურად პასუხისმგებლები არიან პარლამენტის წინაშე.

სასამართლო მოქმედებს მეფის სახელით.

ძირითად კანონებში არ არის აღნიშნული კონსტიტუციის გადაშინჯვის წესი და რიგი. ამ მხრით იაპონიის კონსტიტუცია მუნჯია, ისე როგორც იტალიის კონსტიტუცია. მაგრამ ფაქტიურად გადაშინჯვის საქმე კორტესების ხელშია. მაგალითად, დღეს მომქმედი კონსტიტუციის გადაშინჯვის წინადადება შეტანილ იქნა კორტესებში (პარლამენტში) 1882 წ. უნდოდათ უარესის მიღება: მაგრამ დეპუტატთა პალატამ დიდი უმრავლესობით (222, წინააღმდეგი იყო 13) უარყო ეს გადაშინჯვა.

თვითმართველობა ისპანიაში შეზღუდულია. ისპანია პროვინციებად არის დაყოფილი. ყოველ პროვინციაში არჩეული **პროვინციალური დეპუტაცია.** ქალაქებში მუნიციპალური საბჭოებია. მეფის და კორტესების ჩარევა შესაძლებელი ხდება, რითაც ილახება თვითმართველობის პრინციპი.

კოლონიების მართვა-გამგეობა კანონის ძალით სწარმოებს. მაგრამ მთავრობას შეუძლიან იქ თავის პასუხისმგებლობით იმოქმედოს. ეს სათავეა მმართველობითი თვითნებობის. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ჩრ.-ამერიკასთან ომის შემდეგ ისპანიამ თითქმის ყველა კოლონია დაჰკარგა. ამიტომ კოლონიალურ მმართველობის საკითხს მისთვის აღარ აქვს ისე დიდი მნიშვნელობა.

ისპანია ღარიბი და გაუნათლებელი ქვეყანაა. ემორჩილება საფრანგეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების გავლენას.

ბ. საქარელი.

ამ შემთხვევისათვის ფედერატიულ საბჭოს თავისი პასუხი ჯერ კიდევ არ მიუცია.

ლონდონი 9 ივლ. „დეილი" „ქრონიკლი" იუწყება, რომ კრასინი სტოვებს ლონდონს და ინგლისის გემით რუსეთში ბრუნდება. ლონდონში რჩება საბჭოთა ეკონომიური მისია.

კრასინმა ლონდონის დატოვებისას განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მისი წასვლა არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც დამოკიდებულების სრული შეწყვეტა საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის. უმაღლეს საბჭოსთან მოსალაპარაკებლად და სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის საკითხზე სამუშაოდ დარჩა ლონდონში მყოფი ეკონომიური მისია. კრასინი მოსკოვში მიდის დროებით, რათა მთავრობას პირდაპირ მოელაპარაკოს ალბათ, მოსკოვის მთავრობამ სთქვა კრასინმა—არ იცის ნამდვილათ ყველა ის სიძნელენი, რომლებიც ვხვდებით უმაღლეს საბჭოსთან მოლაპარაკების დროს ეკონომიურ შეთანხმების დასადებათო.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 7 ს. მუშათა სახახლეში შესდგება საქართველოს პროფ. კავშირ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თფილისის სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა.

◆ **საქ. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმას. კომ. მიმართვა შრომის საერთაშორისო ბიუროსადმი.** 20 ივლისს საქართველოს პროფეს. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმ. კომიტეტის და თფ. სეკრეტარიატის შეერთებულმა სხდომამ მოისმინა და მოიწონა ამხ. ს. დევდარიანის მიერ წაკითხული ტექსტი მიმართვისა შრომის საერთაშორისო ბიუროსადმი.

◆ **ნაძალადევის კლუბის ახალ შენობაში.** 22 ივლისს, ხუთშაბათს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საერთო კრება—რომელზედაც ამხ. ალ. ლომთათიძე, გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე. „პარტიულ ყრილობის მუშაობა". კოლექტივის წევრები ვალდებულნი არიან მოვიდნენ ერთი საათით ადრე.

◆ **სოჭის ოლქის ეროვნული** საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მიხაკო იოსებისძე ხოფერია დაინიშნა შავი ზღვის გუბერნიაში ვიცე-კონსულათ—სამუშაო რაიონით სოჭის და ტუაპსეს ოლქებში.

◆ **პარტიული ყრილობის დელეგატების** მოხსენება მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებაზე დანიშნულია დღეს, საღ. სრულ 7 ს. ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია. კრება როგორც გაგრძელება წინა კრებისა, კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

◆ **ხვალ მუშათა ცენტრალურ კლუბში,**—კლუბებში, რესტორანებში და სასტუმროებში მოსამსახურეთა კავშირი მართავს გრანდიოზულ საღამოს ფართო შინაარსიანი პროგრამით კავშირის სასარგებლოთ. საღამო გაგრძელდება ღამის ორ საათამდე.

◆ **იტალიის გემ „ნიფის" ადმინისტრაციამ** გადასწყვიტა ამ გემს სახელი შეუცვალოს და „საქართველოს რესპუბლიკა" დაარქვას. გემმა ბათომში მოიტანა სხვადასხვა საქონელი, რომლის ღირებულებაც 300 მილიონ მ. უდრის.

◆ **წყალდიდობა რაჭაში.** 19 ივლისს საშინელმა მოულოდნელმა ნიაღვარმა ამბროლაურის, ზნაკვის, ნიკორწმინდის და სხვა თემებში სრულიად გაანადგურა ჭირნახული, დაახრჩო მრავალი საქონელი, დაანგრია სახლები, წისქვილები, გააფუჭა გზები და წაიღო ხიდები. ზარალი მეტად დიდია. საჭიროა დახმარება. დაწვრილებით ზარალს ვირკვევთ. ერობის თავმჯდომარე ლობჟანიძე.

◆ **სამხედრო კომისიაში.** ამ დღეებში მცირე სამხედრო კომისიამ, თავმჯდომარე ა. ჩხენკელმა, კომისიის რევიზორებმა ნუცუბიძემ, კალაძემ და იმნაიშვილმა, სამხედრო-სამეურნეო კომიტეტის უფროს კ. გოგუასთან ერთად არსენალის სახელოსნოები დაათვალიერა. სახელოსნოების დათვალიერებამ მცირე სამხედრო კომისიის წევრებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

◆ **სახალხო მიტინგი ბათომში.** დამფ. კრების თავმჯდომარემ ბათომიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ბათომის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა, მოისმინა რა შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრის ნ. რამიშვილის მოხსენება, მიესალმება რესპუბლიკის ბელადებს, რომელთა ბრძნული პოლიტიკით საქართველომ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა და საუკეთესო კუთხე საქართველო'სა ბათომი მის დედა სამშობლოს შეუერთა. აღფრთოვანებული ქართველები განურჩევლად სარწმუნოებისა, მზად არიან დამფ. კრებას და მთავრობას მხურვალე დახმარება აღმოუჩინონ".

◆ **კონსერვების დამზადება** საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა თავს იდვა გვარდიის საჭიროებისათვის ხორცის კონსერვების დამზადება. ამას გარდა კოოპერატივთა კავშირი მომარაგების სამინისტროსთვის შეუდგა დასავლეთ საქართველოში სურსათის დამზადებას. უკვე შესყიდულია 200,000 ფუთი სიმინდი და ფქვილი, რომელიც მომარაგების სამინისტროს სასურსათო განყოფილებას გადაეცემა.

◆ **გადასახადი მიწაზე.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამაზრო საერობო თვითმართველობას მიმართა ცირკულიარით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ თანახმად ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ ცნობებისა, თემები აგროვებენ გადასახადს მიწაზე და თავის კასაში შეაქვთ. ამასთანავე ეს თანხები სახელმწიფო ხაზინაში ამდენს ხანს არ არის შეტანილი. ფინანსთა სამინისტროს აზრით, სახელმწიფო გადასახადების შეკრება მილიციის ხელში უნდა იყვეს. მაგრამ კონტროლი და ხელმძღვანელობა ადგილობრივმა საერობო თვითმართველობებმა უნდა გაუწიონ. შეკრებილი თანხა კი ყოველ დღე ხაზინაში უნდა შეიტანონ, შინაგან საქმეთა სამინისტრო გთხოვთ იხელმძღვანელოთ ამ წესით და დაუყონებლივ შეიტანოთ კასაში მიწაზე არსებულ ერთდროულ გადასახადის სახით შემოსული თანხა, რომელიც ერობათა კასებში ინახება.

◆ **ტყვიბულის ნახშირი.** სპეციალისტ სამთო ინჟენერებისაგან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომლის სათავეში სამთო სამმართველოს უფროსი ინჟ. ყიფშიძე სდგას, და რომელიც გამგზავრებული იყო ტყვიბულში, რათა ადგილობრივად შეესწავლა ქვა-ნახშირის მაღაროების ექსპლოატაციის პირობები, შეიმუშავებია მომავალ მუშაობის გეგმა, შეადგინა მაღაროების ნაყოფიერობის ასამაღლებლად სასწრაფო ზომების პროგრამა, თავისი მუშაობა უკვე დაასრულა. კომისიის მოქმედების შესახებ ინჟ. ყიფშიძემ წარუდგინა ვრცელი მოხსენება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქვა-ნახშირის დამუშავების ის სისტემა, რომელსაც ამ ჟამად მაღაროების ადმინისტრაცია აწარმოებს, სავსებით მიზანშეწონილია. უსუფთაო ქვა-ნახშირის გამოშვება ამ ჟამად, როდესაც ბაზრის დასაპყრობად ხელსაყრელი პირობები არის შექმნილი, არ არის სასურველი. ძველი მაღაროებში დამზადებულ ქვა-ნახშირის რაოდენობა დაახლოვებით 17 მილიონ ფუთს უდრის. საჭიროა-მაღაროს მდგომარეობის გაუმჯობესობა ისე, რომ დღე-ღამეში 50,000 ფუთის ამოღება შეიძლებოდეს, ამისათვის კი საჭიროა ზოგიერთი ტეხნიკური გაუმჯობესობა.

◆ **საბაჟო წესები.** გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ცირკულიარული წინადადება მისცა სარკინიგზო აგენტებს, რომ მათ იხელმძღვანელონ დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული საბაჟო გადასახადების წესებით. ყოველ საზღვარ-გარეთ გასაგზავნი საქონლის პატრონმა უნდა წარმოადგინოს მოწმობა, რომ საქონელი შემოწმებული და ბაჟი გადახდილია. საქონლის დატვირთვა შეიძლება მხოლოდ საქონლის და აგრეთვე მოწმობების საბაჟო მოხელეების მიერ შემოწმება-განხილვის შემდეგ. ვაგონები უნდა გაგზავნილ იქნენ რკინის გზისა და საბაჟო პლომბებით. სასაზღვრო საბაჟოებიდან რაიმე საეჭვო შემთხვევებში რკინის გზის აგენტები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ, როგორც რკინის გზას, აგრეთვე საბაჟო დოკუმენტების შემოწმებას.

◆ **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** მიწად-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა შემოდგომაზე დაიწყოს მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ. მუშაობა დაახლოვებით უნდა გათავდეს 2 წლის განმავლობაში. ჭაობების გამოსაკვლევად გადადებულია 4 მილიონი მანეთი.

◆ **პურის გატანის აკრძალვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოჯრის მილიციის უფროსს წინადადება მისცა მიიღოს მკაცრი ზომები და აღნიშნული მიმართულებით 5 ფუთზე მეტი ფქვილის გატანის უფლება არ მისცეს თითეულ მგზავრს. მეტი რაოდენობის გადატანის დროს უნდა წარმოადგინონ მომარაგების სამინისტროს საგანგებო ნებართვა.

◆ **კანონების გადამსინჯავ კომისიის** წევრად მოწვეულია თფილისის სასამართლოს პალატის თავმჯდომარე გელოვანი.

◆ **მთავრობის დახმარება სოხუმს.** ივლისის 15 სხდომაზე მთავრობამ მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება სოხუმის ქალაქის თვითმართველობისადმი სესხის მიცემის შესახებ. დადგენილია მიეცეს სოხუმის ქალაქის თვითმართველობას სესხის სახით 2 წლის ვადით 3 მილიონი მანეთი. ამ სესხის გადახდა საფუთო გადასახადით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. სათანადო დეკრეტი უნდა წარედგინოს დამფ. კრებას.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 22 ივლისს, საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 22) დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის წევრების რაიონის ორივე მცირე კოლექტივების და ქალთა ორგანიზაციის წევრების შეერთებული სხდომა.

— დღეს, საღ. სრულ 5 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა. ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

— დღეს, 22 ივლისს, საღამოს 4 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საკითხები. 1) პარტიული მუშაობა. 2) მეორე პარტიულ ყრილობის დადგენილების განხილვა. ყველა წევრს ევალება დაესწროს კრებას და თან იქონიოს პარტიული წიგნაკი.

„ახალი სხივის" მორიგი გამოსვლის გამო

ჩემსა და „ახალ სხივს" შორის ატეხილ კამათს უკანასკნელმა მეტად არა სასურველი მიმდინარეობა მისცა.

თვით გიორგაძემ, რომელიც გაცილებით უფრო დაინტერესებულია ამ "საქმეში, ვიდრე მისი უხეირო დამცველი „ახალი სხივი" თავის წერილში (იხ. „ერთობა„ № 159), სავსებით დაადასტურა ის ფაქტი, რასაც მე ვაბრალებდი. მკითხველს მოეხსენება, რომ მე გიორგაძეს ბრალს ვდებდი იმაში, რომ ის არის ფირმა „კოსმოსის" იურისკონსულტი და რომ ის, როგორც ასეთი, მონაწილეობას იღებდა მომარაგების სამინისტროსთან არსებულ მოლაპარაკებაში. „ერთობის" № 159-ში გიორგაძე რამდენიმე ადგილას იმეორებს: **„მე როგორც ფირმა „კოსმოსის" იურისკონსულტის"** და სხვა. მხოლოდ აღნიშნულ წერილში ის ამტკიცებს რომ ხელშეკრულობა ფირმას და მომარაგების სამინისტროს შორის დადებული მას არ დაუწერია, ის დაუწერია სხვას, მას მხოლოდ როგორც **ფირმის იურისკონსულტს** სხვებთან ერთად წაუკითხავს და უცვნია, რომ ორივე მხარის სურვილი ყოფილა შიგ გამოხატული. როგორც ვხედავთ, აქ თვით ფაქტს გიორგაძე არ ხედავს სადავოთ, სადავოთ რჩება ფაქტის ახსნა. მე, მაგალითად, დიდ ბოროტებათ და დანაშაულათ მიმაჩნია, როცა დამფუძნებელი კრების წევრი, ფრაქციის ლიდერი, ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე და სხ. კისრულობს მთავრობის კონტრაგენტის—ფირმა „კოსმოსის" იურისტკონსულტობას. მე ვფიქრობ, რომ, თუ ის სინდისიერათ ემსახურა ამ ფირმას, მან უეჭველათ ფირმას სასარგებლო რჩევები უნდა მისცეს და ეს სასარგებლო რჩევა იქნება დაპირდაპირებული მისი მოპირდაპირის (ამ შემთხვევაში მომარაგების სამინისტროს) წინააღმდეგ. და თუ ის მიტომ მსახურებს ფირმასთან, რომ მას მაინც მთავრობის სასარგებლო რჩევები მისცეს (ე. ი. ფირმის საწინააღმდეგო), მე მაშინ არ ვიცი, რომელი სულელი ფირმა იქნება, რომ ასეთ იურისტკონსულს ათასები აძლიოს და თავის გზა არ უჩვენოს.

„ახალი სხივის" აზრით აქ ყველაფერი რიგზე არის; ეს მისი ნებაა. მე მხოლოდ მაშფოთებს ერთი გარემოება: „ახალი სხივი", მიუხედავათ გიორგაძის დასტურისა, კვლავ უთმობს ადგილს „ახალ სხივის" უკანასკნელ ნომერში არ. ფანცულაიას წერილს, სადაც სწერია „წულაძე, განზრახ, რომ ოპოზიციის ლიდერები დაემცირებია, შეეცადა შეექმნა ბრალდებაო".. სწორედ დიდი უტიფარი ხალხი უნდა ისხდეს „ახალი სხივის" რედაქციაში, როცა ორივე მხრის მიერ აღიარებულ ფაქტს სადავოთ ხდის. ბატონებო, „ახალ-სხიველებო"! თუ თქვენ არ მოგწონთ ჩემი კვალიფიკაცია, სწერეთ ამის შესახებ, რამდენიც გინდათ, მაგრამ რა უფლება გაქვთ ფაქტი უარყოთ, როცა თვით ის პირი, რომელსაც ფაქტი ეხება, არ უარყოფს მას?

თვით რედაქციას ცოტა უხერხულათ უგრძვნია თავი, გამოუხტუნებია არ. ფანცულაია და იმისთვის დაუკისრებია ეს არა-საკადრისი ხელობა; მის წერილში საბუთების და არგუმენტების მაგიერ ადგილი აქვს უსაზღვრო ლანძღვა-გინებას, რომელზედაც პასუხის გაცემა თავის დამცირებათ მიმაჩნია.

წერილის შინაარსი სავსებით შეეფერება „ახალ სხივში" მოკალათებულ პირთა ზნეობრივ ავლადიდებას და მათგან ნასროლი ტალახი მე სრულებით ვერ მომეკარება. რათა ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო კამათს ამ ინცინდენტის შესახებ, მე საჭიროთ ვცნობ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციამ იქონიოს მსჯელობა: ვინ არის მართალი ჩემ მიერ დასახელებულ ფაქტის დაფასებაში, მე თუ „ახალი სხივის" მესვეურები. მე გამოვთქვამ იმედს, რომ ფრაქცია ბოლოს მოუღებს ზოგიერთ დამფუძნებელი კრების წევრთა მიერ თავის მაღალი თანამდებობით სპეკულიაციას და შეიძლება ამის შემდეგ ჩაჩუმდენ უხეირო პოზიციის უხეირო დამცველები.

ვ. წულაძე.

რედაქციისაგან. ამხ. ფანცულაია „ერთობის" რედაქციასაც ეხება. მისი სიტყვით, ვიღასაც ჩვენი გაზეთი „სათარეშოთ" გაუხდია. „ერთობაში", ამბობს ავტორი, „ასეთ მოშხამულ წერილებს ადგილი არ უნდა დაეთმოს. ყრილობის სურვილი იყო შეთანხმებული და არაგამთიშველი მუშაობა, და პარტიული ოფიციალური ორგანო ვალდებულია ამით იხელმძღვანელოს".

ამაზე ჩვენი პასუხი ასეთია: „ერთობა" მუდამ იდგა „შეთანხმების და არაგამთიშველი მუშაობის" ნიადაგზე პარტიის ჩარჩოებში; „მოშხამულ" წერილებს მის ფურცლებზე ადგილი არ ჰქონია. ჩვენს გაზეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთმობა ადგილი ამხანაგებ შორის პოლემიკას, თუ იგი აშუქებს ამა თუ იმ ფაქტებს, რომლებიც უთანხმოების წყაროდ არიან გადაქცეულნი. ამასთან ჩვენი გაზეთი ორივე მხარეს უსმენს. ასე არ იქცევა „ახ. სხივი". ისეთი წერილები, როგორიც იყო ამხ. გიორგაძის წერილი გენ. მაყაშვილის შესახებ ან ამხ. ფანცულაიას წერილი ვ. წულაძის წინააღმდეგ, მართლაც „მოშხამულია", მართლაც „გამთიშველია" და არა შემათანხმებელი. „ახ. სხივი", მართალია, არ არის ოფიციალური ორგანო, მაგრამ ეს მას არ ანთავისუფლებ ამხანაგური პასუხისმგებლობისაგან.

საქართველო და იტალია

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა შემდეგის წერილით მიმართა იტალიის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ივნისის 10-ის დადგენილებით გადასწყვიტა შევიდეს საერთაშორისო საფოსტო კავშირში და ამ მიზნით შვეიცარიის ფედერალურ რესპუბლიკის მთავრობასთან დანიშნულ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელ მოქ. სუმბათაშვილის ხელით გამოგზავნა სათანადო მომართვა ბერნის საფოსტო ბიუროსადმი. ჩვენ ვალდებულად ვსთვლით ჩვენს თავს ვიკისროთ 1906 წ. დადებულ კონვენციის აღსრულება. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების განხორციელებამდე საჭიროდ მიგვაჩნია ურთიერთი შეთანხმების საფუძვლებზე დავამყაროთ კორესპონდენციების გაცვლა-გამოცვლა საქართველოს, ევროპასა და ამერიკის შორის. დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთა ბათუმში ყოფნის დროს საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფი უწყება შეუთანხმდა მათ ჩვენი კორესპონდენციების ზემოაღნიშნულ ქვეყნებში დაგზავნაზე. ჩვენ ვალად ვიდეთ მიგვეღო იქიდან მოსული კორესპონდენციები და დაგვერიგებია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დანიშნულებისამებრ და აგრეთვე გაგვეგზავნა იგი სომხეთსა და ადერბეიჯანში. ინგლისელების წასვლის შემდეგ მდგომარეობა გართულდა, ფოსტა აღარ მიდის და აუარებელი წერილები ჩერდება ბათომში. თფილისში მყოფი იტალიის პოლიტიკური მისია ბ. მერკანტელის მეთაურობით თავაზიანად დასთანხმდა ჩვენს წინადადებას ურთიერთ შორის შეთანხმების საფუძველზე მოეწყო იტალიის გემებით ფოსტის გზავნა და საზღვარ გარეთიდან მიღებულ ფოსტის ჩვენზე გადმოცემა. ყოველივე ზემოხსენებულის გამო გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება ბათომისკენ მომავალ გემებისადმი, რომ მათ ბათომის ფოსტა-ტელეგრაფისაგან ევროპისა და ამერიკის ქვეყნებისაკენ გასაგზავნი ფოსტა დაუყონებლივ მიიღონ და ამ ქვეყნებიდან ჩვენი რესპუბლიკის მისამართით გამოგზავნილი კორესპონდენციები გადმოგვცენ. დროებით საგანგებო ნიხრისა და მარკების ტიპის გამომუშავებამდე წერილები გაიგზავნება იმავე საფოსტო მარკებით, რომლებითაც იგზავნება წერილები თვით საქართველოში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი რესპუბლიკასა და ევროპის ქვეყნებს შორის კავშირის დამყარების სასარგებლოდ თქვენ არ დააგვიანებთ და სათანადო განკარგულების გასაცემათ ჯაფას გასწევთ. (სდს).

ბათომი

ბრძანება ქალაქ ბათომის და მისი ოლქის საგანგებო კომისრისა.

პოლკოვნიკი [illegible]ონინის უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს სარიმაულში გაშენებულ ბაღს, სივრცით სამ დესეტინას, შერეულ მასალით, აგებული საცხოვრებელი და სხვა ყოველგვარი შენობებით, აგრეთვე მოძრავი ქონება; ავეჯეულობით და ცხენით...

გენერალ ტერმენის უძრავი ქონება, მდებარე ორთაბათომში, რომელიც შეიცავს ხეხილით, ვენახით და ყანით ნაწილობრივ გაშენებულ მიწას, სივრცით თხუთმეტი დესეტინამდე, ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და სხვა შენობებს, ყოველგვარი ავეჯეულობით ჩამორთმეულ იქნას სახელმწიფოს სასარგებლოთ კონფისკაციის სახით, მათი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოღალატეობრივი მოქმედებისათვის, რომელსაც დღესაც განაგრძობენ სახელმწიფოს ფარგლებიდან გაქცეულნი.

მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელს აგრონომ რცხილაძეს წინადადება ეძლევა დაუყონებლივ ჩაიბაროს ხსენებული მამულები, როგორც სახელმწიფო ფონდში გადარიცხული საკუთრება. (სამ. საქ.)

საგანგებო კომისარი **ჩხიკვიშვილი.**

უცხოეთი

საფრანგეთი

საფრანგეთისა და იტალიის სოციალისტები. გაზ. „ჰუმანიტეს" გადმოცემით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ადმინისტრაციულ კომისიამ მოისმინა დანიელ რენულის მოხსენება, რომელიც გაგზავნილი იყო იტალიის სოციალისტურ პარტიასთან მოლაპარაკების საწარმოებლათ. მოლაპარაკების შედეგები შემდეგ სამ მუხლში გამოიხატება: 1) იტალიის სოციალისტური პარტია თანხმაა რათა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგატები გაემგზავროს რუსეთში იტალიის პარტიის დელეგაციასთან ერთად; საფრანგეთის დელეგაციაში შესაძლებელია აირჩიონ უმცირესობის წარმომადგენლებიც, თუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება; 2) ახლო მომავალში მოწვეული იქნება საფრანგეთ-იტალიის სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელნი თავიანთი ქვეყნების იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ზომების გამოსამუშავებლად; 3) იტალიის სოციალისტური პარტია, რომელიც მთლიანათ შეუერთდა მესამე ინტერნაციონალს, არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს იმ კონფერენციის მუშაობაში, რომელსაც მიზნათ ექნება დასახული ინტერნაციონალის აღდგენა.

ლატვია.

საფრანგეთის დახმარება. ვენის გაზეთების გადმოცემით პარიზში ამ ჟამად იმყოფება ლატვიის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის მთავრობასთან ჯარის მოწყობის შესახებ. ამავე გაზეთების ცნობით საფრანგეთის მთავრობა თავის ინსტრუქტორ აფიცრებს გზავნის ლატვიაში და აგრეთვე თავისი ხარჯით აწყობს ერთ დივიზიას.

სასამართლოში

შალვა მაღლაკელიძისა და სხვათა საქმე.
15 ივლისის სხდომა.

ექსპერტი **ალ. ნეიმანი.** ბათალიონის კვარტირმეისტერს ნება არა აქვს დივიზიის უფროსთან ფულისთვის წავიდეს ბათალიონის უფროსის დაუკითხავად, აგრეთვე დივიზიის უფროსს ნება არ აქვს პირდაპირ ბათალიონის კვარტირმეისტერთან დაიჭიროს საქმე. ბათალიონის უფროსის გაუგებრად, რაც შეეხება საგუბერნიო ბათალიონს იგი სამხედრო ნაწილში არ ითვლებოდა და არც სამხედრო სამინისტრო აძლევდა მას რაიმე ფულს.

მოწმე **პოლ. შამშურინი** ამტკიცებს, რომ ომიანობის დროს, ან რაიმე საგნების საჭიროების დროს, დივიზიის უფროსს ამისი ნება აქვსო.

შემდეგ ამისა სასამართლო აქვეყნებს იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომელნიც სასამართლოში ვერ გამოცხადდენ და რომელნიც დაკითხულ იქნენ გამომძიებლის მიერ.

ნოე რამიშვილის ჩვენება. 1918 წელს სექტემბერში მაღლაკელიძეს მიეცა 400,000 მ. ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას არ ჰქონია მიცემული წერილობითი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა დაეხარჯა ფული, ყოველივე ამ ხარჯების გაწევა მაღლაკელიძეს შეეძლო დამოუკიდებლად, ხოლო ფორმულობა უნდა დაეცვა იმ აზრით, რომ დახარჯულ ფულის ანგარიშებს ეჭვი არ უნდა გამოეწვია. დღიურის მიცემა რაზმის აფიცრებისათვის თელავში 150—200 მ. მაღლაკელიძეს არ შეეძლო თავისი ნებით. აქ მან უფლებას გადააჭარბა. ლეო რუხაძის და ხომერიკის რეკომენდაციით მაღლაკელიძე დაინიშნა თფ. გუბერნიის კომისრად. მაღლაკელიძემ, როგორც გუბერნიის კომისარმა და შემდეგ გენერალ-გუბერნატორმა ყურადღება მიიქცია თავისი ენერგიული მოქმედებით თელავის მაზრაში. ჩაჩიბაიას არ ვიცნობდი, იგი ბათალიონის უფროსად დავნიშნე მაღლაკელიძის რეკომენდაციით. სახლის ყიდვა ფაჩულიასაგან გავიგე, რომლის ნათესავს ხოშტარიასაც მიცემული ჰქონდა სახლის ყიდვის რწმუნება. მაშინ გამოირკვა, ისიც, რომ ხოშტარიამ 100 ათასი მანეთი მიიღო ბათალიონის საჭიროებისათვის, მაგრამ არაფერი იყიდა და ამ ფულით სპეკულიაციას ეწეოდა. როდესაც ბათალიონში მოხდა ქურდობა და ფულის ყუთიდან წაიღეს 126 ათასი მანეთი, ამ საქმის გამო შეიპყრეს ხაზინადარი შენგელაია. გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ბათალიონში გაფლანგული ყოფილა 400 ათასი მანეთი. ამ ფულის მითვისებაში ჩაჩიბაია გამოტყდა და მონაწილეთ დაასახელა შენგელაია, იუშკევიჩი და მაღლაკელიძე. ამ გარემოებამ მაიძულა მაღლაკელიძის თანამდებობიდან გადაყენება.

პ. ჭიჭინაძის ჩვენება. მე ნდობით ვუცქეროდი მაღლაკელიძეს, აზრი შევიცვალე მხოლოდ მაშინ, როდესაც სახლის ყიდვის ამბავი შევიტყე და დავრწმუნდი აგრეთვე, რომ მაღლაკელიძე უკანონო რეკვიზიციას ხელს უწყობდაო.

ბენია ჩხიკვიშვილის ჩვენება: მაღლაკელიძეს კარგის მხრით ვიცნობდი, იგი ჩემთან იყო ქუთაისის მაზრის კომისრად და მე თვითონ მომხრე ვიყავი მისი გადმოყვანისა თფილისის გუბერნიის კომისრად.

ნოე ხომერიკის ჩვენება. მაღლაკელიძე გავიცანი ახალციხეში, სადაც მან დიდი ტაქტი, ხასიათის სიმტკიცე და რესპუბლიკისთვის თავდადება გამოიჩინა. მას ახალციხეში მფრინავი რაზმი ჰყავდა. მახსოვს გამოწვეულ იქნა გვარდია, არ ვიცი რა კრედიტიდან იქნა გაღებული ფული გვარდიის შესანახათ, მაგრამ ის კი გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ მის ხარჯს იღებდა მაღლაკელიძე, რომლის ხელშიაც იყო ამ დროს მთელი სამხედრო და სამოქალაქო ძალა-უფლება.

კითხულობენ შინ. საქ. სამინისტროს ყოფილ ვიცე დირექტორის ნანეიშვილის და თფილისის გუბერნიის კომისრის ყოფილ თანაშემწეს კალანდარიშვილის ჩვენებებს, რასაც არსებითად საქმეში ახალი არაფერი შეაქვს.

თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოში

16 ივლისის სხდომა.

(დასასრული)

მოვშენზონი ეკითხება გამოძახილნი იყვენ თუ არა მეტყავეთა კავშირის წარმომადგენელნი.

ამხ. ჩხენკელი. ისინი რამდენჯერმე მოვიწვიეთ და სხდომის გახსნის წინ კიდევ გაუგზავნეთ კაცი. ერთი კვირის წინათ მათ გაეგზავნათ მოხსენების ასლი, რომელიც უკვე განიხილეს.

საბჭოს ერთი წევრის შეკითხვაზე ამხ. ჩხენკელი ამბობს, რომ მთელ კავშირში ითვლება 1200 წევრი, ფაქტიურათ კი დაახლოვებით 800. გამოყოფილთა კავშირს შეადგენს 460 კაცი. ესენი აცხადებენ, რომ ვიდრე ახალ გამგეობას არ აირჩევენ, ისინი იმ კავშირში აღარ დაბრუნდებიან.

ალ. ხელაძე ამბობს, რომ ახალ კავშირში თავმოყრილია თფილისის ყველაზე დიდ სახელოსნოების მეტყავეები. რევიზიის შემდეგ სეკრეტარიატი მოლაპარაკებას აწარმოებდა კავშირის ორივე ნაწილი ხელახლა შესაერთებლათ, მაგრამ ვერაფერი გამოვიდა. მეტყავეთა ძველ კავშირის წევრები ამბობდენ, თუ უკანონოთ ხარჯავს ჩვენი გამგეობა, ეს ჩვენი საქმეა და ჩვენსავე ფულს ხარჯავს, თქვენი რა საქმეაო. მეტყავეთა კავშირის მოქმედება არ იყო სწორი. კავშირის კასიდან პოლიტიკურ პარტიულ საქმეებზე არ უნდა იხარჯებოდეს ფულები. თუ მათ ძალიან სურდათ დაპატიმრებულ კომუნისტთა ოჯახების დახმარება, მათ შეეძლოთ ნებაყოფლობითი ხელის მოწერით აეკრიბათ ფული. თორემ თუ ერთი პარტიის წევრებმა მოინდომეს კავშირის კასიდან პარტიულ საქმეზე ფულის დახარჯვა, მაშინ ყოველ სხვა პარტიის წევრებსაც ექნებათ უფლება იგივე მოითხოვონ, ეს კი უთანხმოებას და განხეთქილებას გამოიწვევს. მეტყავეთა კავშირის გამგეობის დეზორგანიზაცია შექმნდა მუშებში. მეტყავეებმა გაფიცვა მოინდომეს. მოვახდინეთ მათთან მოლაპარაკება მწარმოებელთა წარმომადგენლების მონაწილეობით. მივაღწიეთ შეთანხმებას, მაგრამ შემდეგ მეტყავეთა გამგეობამ უარჰყო ეს შეთანხმება და საერთო კრებაზე არჩაძემ განაცხადა, ვითომ ის მოლაპარაკებაზე არც კი დაგვეშვას, ნამდვილათ კი, უმთავრესათ მასთან გვქონდა მოლაპარაკება. როცა ვკითხეთ, თუ რათ იცრუა, ის განმარტებას დაგვპირდა, მაგრამ ეს დაპირებაც არ აასრულა. საჭიროა ასეთი კავშირის დაშლა.

მოვშენზონი წინადადებას იძლევა, რომ საბჭომ ეხლავე არ გამოიტანოს დადგენილება მეტყავეთა კავშირის დაშლის შესახებ, ხელმეორედ მოიწვიოს საერთო კრება, გამართოს მათთან მოლაპარაკება, გააშუქონ საკითხი პრესაში და აგიტაციის საშუალებით გამოასწორონ საქმე,

მელქაძე ამბობს, რომ მეტყავეთა კავშირი უკვე გაიყო და საჭიროა დაიშალოს ძველი კავშირი, რომელიც პროფესიონალურ მოძრაობისთვის მავნე მუშაობას ეწევა. ორატორი ამტკიცებს, რომ ძველ კავშირში დარჩნენ მხოლოდ მეჩექმეები, რომელნიც დაქირავებულთა შრომით მუშაობენ და ექსპლოატატორები არიან; მათ უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეთ კავშირში ყოფნისა. კავშირის კასიდან მხოლოდ პროფესიონალურ საქმეებზე უნდა იხარჯებოდეს ფული, თუ პარტიულ საქმეებზე დაიხარჯა, მაშინ რომელიმე კავშირში დენიკინელები რომ გამოჩნდენ მათაც შეეძლებათ კავშირის ფულის თავის ჯგუფურ საქმეებზე დახარჯვა. ორატორი მოითხოვს ეხლავე დაშალონ მეტყავეთა ძველი კავშირი და იცნონ ახალი კავშირი, რომლის საბჭოს გარეშე დარჩენა შეუძლებელია, რადგან იგი აკავშირებს ნამდვილ მეტყავე მუშებს.

კიკვიძე. ის კავშირი, რომელიც ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდენ, უნდა დაიშალოს. მეტყავეთა კავშირი მუდამ იყო ცნობილი თავის მავნე მოქმედებით. საერთო კრებამ მოიწონა გამგეობის აშკარათ უარსაყოფი მოქმედება, ამიტომ ასეთ კავშირს ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროფეს. მოძრაობაში. საბჭომ და სეკრეტარიატმა მრავალი ზომა მიიღო მშვიდობიანი გზით კავშირის გამოსასწორებლათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა და საერთო კრებამ მოიწონა თავისი გამგეობის ბოროტ-მოქმედება. თუ ამის შემდეგ აქ კიდევ მოითხოვენ ხელახლათ საერთო კრების მოწვევას—ეს ნიშნავს სეკრეტარიატის ნდობის საკითხის დასმას.

ამხ. თამაზაშვილი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ აგიტაციით მეტყავეთა კავშირის სწორ გზაზე დაყენება შეუძლებელია. ჩვენ მათ ვუჩვენეთ, თუ რას თხოულობს პროფეს. მოძრაობა და დავრწმუნდით, რომ მეტყავეთა კავშირი არ აკეთებდა პროფესიონალურ საქმეს, ამიტომ საბჭოს უფლება აქვს დაშალოს ასეთი და სცნოს ახალი.

კორძაია მხარს უჭერს მოვშენზონის წინადადებას და უფრო მიზან-შეწონილათ მიაჩნია, რომ კავშირი არ დაშალონ, ხოლო საბჭომ განაგრძოს მათი ბოროტ-მოქმედებათა გამომჟღავნება.

ამხ. **გიორგაძე** ამბობს, საბჭომ უნდა უჩვენოს მეტყავეთა კავშირს, რომ არის კიდევ სხვა მუშათა დაწესებულება, რომელიც მასზე ზევით სდგას და რომელიც თვალყურს ადევნებს კავშირის სისწორით მუშაობას და როდესაც მეტყავეები ამაში დარწმუნდებიან, ისინი დადგებიან სწორ გზაზე. რაც შეეხება მეტყავეთა კავშირის მოქმედებას ეს სავსებით გამოკვლეულია და საჭირო ზომებიც საკმაოთ იქნა მიღებული.

შემოდის წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. საბჭო ხმის უმეტესობით ადგენს კამათი გაგრძელდეს. შემდეგ ლაპარაკის ნებას აძლევს მოვშენზონს, რათა მეტყავეთა კავშირის დაშლის მოწინააღმდეგეებს საშუალება მიეცეთ სავსებით გამოსთქვან თავისი აზრი.

მოვშენზონი იზიარებს იმ აზრს, რომ მეტყავეთა კავშირი არ იდგა სწორ პროფესიონალურ მოქმედების გზაზე და მას მრავალი ნაკლულევანება ქონდა, მაგრამ საჭიროთ სთვლის ამ სხდომაზე არ მიიღონ დადგენილება კავშირის დაშლის შესახებ და კიდევ მიიღონ ზომები.

ამხ. **ჩხენკელი** უკანასკნელ სიტყვაში ამბობს, რომ ყველა ზომები უკვე მიღებულია და სეკრეტარიატი საბჭოსთან ერთად 6 თვის განმავლობაში ცდილობდა მეტყავეთა კავშირის გამოსწორებას. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ამ კავშირის გამგეობას, დელეგატთა ყრილობას და საერთო კრებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რაც შეეხება მათი წარმომადგენლების დაუსწრებლობას, რამდენჯერმე მოვიწვიეთ, მაგრამ როგორც ყოველთვის, ეხლაც ანგარიშს არ გვიწევენ. მათ არ სურთ სწორი პროფესიონალურ გზით სიარული. არა ერთხელ ყოფილა, რომ მათ მოუციათ დაპირება, თითქოს შევთანხმებულვართ კიდევაც, მაგრამ თავის დაპირებას და სიტყვას ყოველთვის არღვევდენ. ისინი მუდამ ასე იქცეოდენ, მაგალითად, საერთო კრების წინ პირობა დავდეთ პოლიტიკურ გამოსვლებს კრებაზე ადგილი არა ჰქონოდა, მაგრამ კრებაზე ყოველი მათი ორატორი პოლიტიკით იწყებდა და პოლიტიკითვე ათავებდა.

ეს არ იკმარეს და პირდაპირ აცხადებდენ, „ხსნა მხოლოდ ჩრდილოეთიდან მოვაო". არც რჩევა, არც წინადადება მათზე არ მოქმედებს. ამის შემდეგ მეტყავეთა კავშირის დაშლა საშიში არ არის, რადგან თუ რომელიმე კავშირის წევრი არ ემორჩილება კავშირს, მას განდევნიან კავშირიდან.

ერთად-ერთი გზა არის მეტყავეთა კავშირის დაშლა.

დასასრულ საბჭომ 26 ხმით წინააღმდეგ 3-სა მიიღო დადგენილება კავშირის დაშლის შესახებ, რაც უკვე იყო მოთავსებული ჩვენ გაზეთში.

საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმ. კომ. და თფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის გაერთიანებული სხდომა.

20 ივლისს მუშათა სასახლეში ამხ. ს. დევდარიანის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტ-

რალურ საბჭოს აღმ. კომიტეტის და თფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა.

შრომის ბირჟა.

ამხ. **შ. აბდუშელიშვილი** მოახსენებს კრებას შრომის ბირჟის მდგომარეობას. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შრომის ბირჟა არსებულ სახით და არსებულ პირობებში ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. სხვადასხვა დაწესებულება ქირაობენ მუშა-მოსამსახურეებს ბირჟის გარეშე და მას ნაკლებათ უწევენ ანგარიშს, რასაც მომხსენებელი იმით ხსნის რომ აქამდე არ არსებობს კანონმდებლობითი გზით გატარებული დებულება შრომის ბირჟის შესახებ და აგრეთვე ნორმალური წესდება. მომხსენებელი წინადადებას იძლევა კრებამ აიღოს თავის თავზე ინიციატივა ამ საკითხის აღძვრაში და დამუშავებაში.

ამხ. **ი. ბადრიძე** წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას კომისია, რომელიც მოკრებს ყველა საჭირო მასალებს და ყოველ მხრივ გააშუქებს საკითხს.

ამხ. **პ. ბერიშვილი** აღნიშნავს ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას და სირთულეს ამბობს, რომ კომისია ვერ მოახერხებს მის სათანადოთ გარკვევას და წინადადებას იძლევა საკითხი განხილულ იქნას ცალკე თათბირზე აღმასრულებელ კომიტეტის, სეკრეტარიატის და ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

თავმჯდომარის ამხ. **ს. დევდარიანის** წინადადებით კრება აერთებს ორივე წინადადებას და ადგენს: აირჩეს კომისია, რომელშიაც შევა 2 წარმომადგენელი აღმ. კომიტეტიდან და ერთი—სეკრეტარიატიდან. ეს კომისია დაამზადებს მასალებს და წინასწარ დაამუშავებს საკითხს. საკითხი განხილულ იქნეს მომავალ სამშაბათს აღმას. კომიტეტის, სეკრეტარიატის, სოც.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის პრეზიდიუმის, დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციის, შრომის სამინისტროს, შრომის ბირჟის და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისიაში კრება ირჩევს: ამხ. შ. აბდუშელიშვილს, პ. ბერიშვილს და კ. ჩხენკელს.

მუშათა სასახლის საკითხი.

მოხსენებას აკეთებს ის კომისია, რომელიც წინა სხდომაზე იყო არჩეული მუშათა სასახლის შეკეთების და მისი გამგებლობის საკითხების გამოსარკვევათ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ შრომის სამინისტრომ მოხსენება წარადგინა მთავრობაში მუშათა სასახლის შესაკეთებლათ $2^1/_2$ მილიონ მან. გადადების შესახებ და სასახლის შეკეთება დამოუკიდებლათ მუშათა სასახლის გამგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

კრება ერთ წევრს კიდევ ირჩევს ამ კომისიაში ამხ. გიორგაძეს. კომისიას ევალება განაგრძოს მუშაობა და შეუდგეს საჭირო შეკეთების საქმეს.

რაჭის ერობის მოსამსახურეთა განცხადება.

კრება ისმენს რაჭის მაზრის ერობის მოსამსახურეთა განცხადებას, რომელშიაც წამოყენებულია რამდენიმე ადგილობრივ ხასიათის მოთხოვნილება. კრება ადგენს—მიმართოს ქუთაისის პროფ. კავშირთა საბჭოს, რათა მან განიხილოს ეს მოთხოვნილებანი და შეძლების დაგვარათ მიიღოს ზომები მათ დასაკმაყოფილებლათ.

ექიმის თანაშემწეთა კავშირის განცხადება.

კრება ისმენს ექიმთა თანაშემწეთა კავშირის განცხადებას, რომ ოზურგეთის მაზრაში ექიმის თანაშემწეებს და ბებია ქალებს აღუკრძალეს ავათმყოფების ნახვა და მათთვის დახმარების აღმოჩენა. კრება ადგენს—პრეზიდიუმი შეეკითხოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს და შემდეგ მიღებულ იქნას შესაფერი ზომები.

რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

(დასასრული)

5 ივლისის სხდომაზე კატეგორიების შესახებ მოხსენებას აკეთებს პ. გელიძე. კატეგორიების კითხვა მეორე ყრილობამ გადასცა ცენტ. გამგეობას დასამუშავებლად. გამგეობამ ეს კითხვა დაამუშავა და მიიღო წახალისების პრინციპი. საერთოდ ზოგიერთი დარგის კატეგორიის მუშები გაყინული იყო ერთ კატეგორიაზე და გამგეობამ საჭიროდ დაინახა შრომის ნაყოფიერების ასაწევად და მუშა-ხელოსნის დასაინტერესებლად ზოგიერთ კატეგორიების წინ წაწევა. ამ მხრით ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ სტამბა-ლიტოგრაფიის მუშები, რომელთა ჯამაგირები ძლიერ ჩამორჩა სხვა სტამბის მუშების ჯამაგირს და გამგეობამ ისინი ორი კატეგორიით წინ წასწია. ასევე მოიმოქმედა სახელოსნოს კარგ სპეციალისტ ხელოსნების შესახებ, რომლებიც იმყოფებოდენ 12 კატეგორიაში და ეხლა კი აწეული იქნენ 14 კატეგორიამდე. მასწავლებლებიც ავწიეთ მაღლა, რადგანაც უკანასკნელ დროს სხვა დაწესებულებების მასწავლებლები გაცილებით მეტს ღებულობდენ. კატეგორიებმა ცხარე კამათი გამოიწვია. დ. ქელენტი, მახარაძე და სხვა ორატორები აღნიშნავენ სადგურის მუშების ცუდ მდგომარეობას და მოითხოვენ მტვირთავების წინ წაწევას 2—3 კატეგორიით. 1—3 კატეგორიის გაუქმებას მოითხოვდენ და წინადადება შემოაქვთ კატეგორიები იწყებოდეს 4 კატეგორიიდან. რადგანაც კატეგორიების კითხვამ მწვავე ხასიათი მიიღო და ზოგიერთ რაიონების წარმომადგენლებს წინადადება შემოჰქონდათ კატეგორიების ძირითადათ გადატეხის, ამიტომ არჩეული იქნა კომისია დარგის და მიხედვით 7 კაცისაგან, რომელთაც ერთი დღის განმავლობაში დაიმუშავეს ეს საკითხი და ზოგიერთი შესწორებებით წარუდგინეს კონფერენციას. ამ კომისიის შესწორებით სადგურის „ვიგრუზჩიკები“ და ზოგიერთი დარგის მუშების კატეგორია წინ იყვნენ წაწეული 1—2 კატეგორიით. კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება, როგორც ცენტრ. გამგეობის, ისე საგანგებოდ არჩეულ კომისიისა კატეგორიების შესწორებების შესახებ, გადასცა ცენტრალურ გამგეობას, რათა მას მიეღო ყველა ეს მხედველობაში და ისე გადაეჭრა. შემდეგი კითხვა კოლექტიურ ხელშეკრულებას შეეხება, რომელიც უნდა დადებულ იქნას ადმინისტრაციასთან ერთად. ცენტერაძის მოხსენებით კოლექტიური ხელშეკრულება ჯერ ძველმა ცენტრ. გამგეობამ შეიმუშავა და წარმოუდგინა ახალ გამგეობას და ადმინისტრაციას. გზათა ადმინისტრაციამ კოლექტიური ხელშეკრულების კონტრ-ხელშეკრულება წარმოადგინა და ახალმა გამგეობამ ძველი გამგეობის კოლექტიური ხელშეკრულება შეასწორა და ახალი შეადგინა. შრომის სამინისტრო პირველად წინააღმდეგი იყო კოლექტიურ ხელშეკრულების დადების და გასამართლებელ საბუთად მოჰყავდა ის გარემოება, რომ შეუძლებელია კოლექტიური ხელშეკრულება გავრცელებულ იქნას სახელმწიფო წარმოების მოხელეებზე და მეორედ მიზან-შეუწონლად აღიარებდა დადებული ყოფილიყო ასეთი კოლექტიური ხელშეკრულება სახელმწიფო წარმოების ადმინისტრაციასთან. მაგრამ მუშა-მოსამსახურეების კავშირების კონფერენციამ ეს გადაჭრით მოითხოვა და თუმც ჯერაც მინდობილი აქვს ს. სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობიდან ცენტრ. კომიტეტს უკანასკნელი პასუხის გასაცემად, მაგრამ ჯერაც არ არის ეს კითხვა გადაწყვეტილი და იმედია, ახლო მომავალში ეს კითხვა გადაწყდება წარმოების და ჩვენდა სასარგებლოდ. კონფერენციამ მუხლობრივად გაარჩია და მცირე შესწორებების შემდეგ დაამტკიცა. ამის შემდეგ პრეზიდიუმი მოახსენებს კრებას, რომ რაიონებიდან მოხსენებების დროს კონფერენციის სურვილისამებრ გამოყოფილი იქნა რამოდენიმე კითხვები, როგორიც არის შეშის, პანსიონის, ეკონომიური საკითხი და ქობულეთში „სტაიანკას“ შეძენის შესახებ მიანდო გამგეობას დღის წესრიგში დასაყენებლად და გადასაწყვეტად, რადგანაც ყველა ეს კითხვები გამგეობის მომავალ მუშაობაში შედის და ის მოაწესრიგებს მას. წინადადება მიღებულ იქნა. უკანასკნელი კითხვა არის ბიუჯეტის საკითხი, რომლის შესახებ ანგარიში წარმოადგინა გამგეობის ხაზინადარმა ი. ლაღიძემ. მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წარსულ წლებში გამგეობის ბიუჯეტი არ იქნა შემუშავებული, რის მიზეზიც იყო ის, რომ არ იყო მოწყობილი ბუღალტერია. წელს დაქირავებულ იქნა ბუღალტერი და ნაწილობრივად ეს საქმე გამოკეთებულ იქნა. ბიუჯეტის შედგენას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ არ გვქონდა სტატისტიკა მოწყობილი, ეხლა ამის შემოღება გადაწყვეტილია და ჩვენც ვფიქრობთ მომავალში, ბიუჯეტის საკითხი კარგ ნიადაგზე იქნება დაყენებული. დასასრულ კითხულობს მუხლობრივად ანგარიშებს; გამოირკვა შემდეგი:

შემოსავალი 1919 წლ. 1 იანვრ. 1 % საწევრო გადასახადიდან კავშირის ფონდში 12 მილ. 414 ათასი მანეთი.

გასავალი კავშირის საქმეებისათვის 8 მილიონი 372,450 მან., გვარდიის ფონდის შემოსავალი $^1/_2$ % 3 მილიონი 357,500 მან, გასავალი გვარდიელთა ოჯახებზე 1 მილ. 7,500 მან., კულტურულ კომისიის შემოსავალი საექსპლოატაციო სახით 6,996 მან.

გასავალი 9 მილ. 761,000 მან., საერთო შემოსავალი 22,767,000 მანეთი. გასავალი 19,140,950 მანეთი.

ნაშთი 1 იანვარს 1919 წ. 3,626,050 მან. ანგარიშები კონფერენციამ დაამტკიცა.

ამის შემდეგ კონფერენციაზე განცხადებათ შემოდის სასურსათო კომიტეტის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი პ. კახეთელიძე, რომელიც ამბობს, რომ მეორე დელეგატთა ყრილობამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია, რომელსაც არ აქვს არავითარი ინსტრუქცია მოქმედების, ამას მიაქცია ყურადღება სარევიზიო კომისიამ და შეიმუშავა ერთნაირი წესი მუშაობისა, რომელიც კონფერენციამ უნდა დაამტკიცოს. სარევიზიო კომისის და სასურსათო კომიტეტის ერთმანეთში დამოკიდებულება გამოურკვეველია. სარევიზიო კომისიის ორი წევრი შეუდგა მუშაობას მხოლოდ იანვრიდან, რადგანაც სამსახურიდან განთავისუფლების საკითხიც არ გამოირკვა მანამდის. ეხლა კონფერენციამ აუცილებლათ უნდა გადაჭრას ეს საკითხი, ისე სარევიზიო კომისიის მუშაობა შეუძლებელია. განცხადების შემდეგ შემოდის განცხადება სასურსათო კომიტეტის მთავარ რწმუნებულის ათაბეგის, მწუხარებით აღნიშნავს რომ სასურსათო კომიტეტის შესახებ ბევრი რამეები ითქვა, როგორც ადგილებიდან, ისე სარევიზიო კომისიიდან, და სასურსათო კომიტეტს საშუალება არ ქონდა კონფერენციის მუშაობას დასწრებოდა და პასუხი გაეცა. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის განცხადებას, ამბობს ის—მათი უფლება-მოვალეობა ყრილობამ შეიმუშავა და აქ კონფერენციას არ აქვს უფლება ეს საკითხები გადაჭრას, რადგანაც ასეთი კონფერენცია სასურსათო კომიტეტმაც უნდა მოიწვიოს ყრილობის დადგენილებით, რომლის დადგენილება დაედება სახელმძღვანელოდ სარევიზიო კომიტეტის მუშაობას. კონფერენციამ მცირე მსჯელობის შემდეგ არა ნორმალურად სცნო სარევიზიო კომისიის ასეთი მდგომარეობა და მიიღო: მოწვეულ იქნას 1 აგვისტოს სასურსათო კონფერენცია, რომელმაც უნდა გასცეს პასუხი დღის წესრიგში წამოყენებულ სასურსათო საკითხებს.

ყველა დღის წესრიგში წამოყენებული კითხვები ამოწურულ იქნა და კონფერენცია დაიშალა 7 ივლისს, საღამოს 10 საათზე,

გალო სკლიარი.

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 19 ივლისს, ცენტრალურ ფოსტის დარბაზში შესდგა ს.-დ. ფოსტ.-ტელეგ. და ტელეფ. მუშა-მოსამსახურეთა პარტიული საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. გაჩეჩილაძე, მდივნად ა. მეფარიშვილი. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება სარაიონო გამგეობის, 2) მოხსენება მარქსისტულ საორგანიზაციო ბიუროს, 3) მოხსენება ქვეკოლექტივის.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გაჩეჩილაძე; ის ვრცლად ეხება არსებულ რაიონულ გამგეობის არჩევნებს და ამ არჩევნებში ფედერალისტების ოინებს, მიმდინარე მუშაობას და ხელის შემშლელ პირობებს, როგორიცაა მაგ. არსებული ცენტრალური გამგეობა, რომელმაც სრული დეზორგანიზაცია შეიტანა კავშირში და მიუხედავათ ყოველგვარ უპრინციპობისა და ულოღიკობისა, კიდევ მეტი, უუფლებობისა, ჩაიბღაუჭა თფილისის რაიონის კოოპერატივს, სამკითხველოს და სხვა დაწესებულებებს. მათ გადააქციეს ამხ. დამხმარე საზოგადოება საპეკულიაციო ასპარეზათ და დაუკარგეს მნიშვნელობა. ეს მაშინ, როცა ზოგიერთი კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ამხანაგები დიდათ სჭიროებენ ბაზართან შედარებით იაფ-ფასიან საქონელსო. იწყება კამათი, მონაწილეობას ღებულობენ: ქურული, მეფარიშვილი, სურგულაძე, კიკნაძის ასული, ქელიშვილი და სხვა. კამათის შემდეგ მეფარიშვილს შემოაქვს წინადადება. რეზოლიუცია ორათ გაიყოს, ერთი ნაწილი შეეხებოდეს საერთო მუშაობას, მეორე კი სექციების არსებობას. კრება ერთხმად ღებულობს: „ფ.-ტ. და ტელეფონის მუშა მოსამსახურეთა ს.-დ. საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება გაჩეჩილაძის სარაიონო გამგეობის მუშაობაზე, სცნო იგი არსებულ პირობებში დამაკმაყოფილებლად. კრება უსურვებს მას მომავალში უფრო ინტენსიურ მუშაობას“.

სექციების არსებობაზე კრებამ მიიღო შალიკიანის წინადადება:—მიეცეს სარაიონო გამგეობას წინადადება გამოიმუშავოს ინსტრუქცია სექციების არსებობისა მომავალი კრებისთვის“.

მეორე საკითხზე მარქსისტულ საორგანიზაციო ბიუროს სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. შალიკიანი, ის აცნობს ვრცლად კრებას ამ ორგანიზაციის დანიშნულებას, იმას, თუ რა გააკეთა საორგანიზაციო ბიურომ და მოუწოდებს ამხ. მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ ჯგუფის არსებობაში.

კრება ამ მოხსენებას იღებს მხედველობაში და გადადის მორიგ საკითხზე. ამხ. ქურული აკეთებს მოხსენებას ახალ ქვეკოლექტივის სახელით. ის აღნიშნავს ქვე-კოლექტივის მუშაობას ამ მოკლე ხნის განმავლობაში და სთხოვს კრებას ორი საკითხის გადაწყვეტას: რამდენჯერ იმართებოდეს თვეში ქვეკოლექტივის კრებები და რომელ რაიონში შევიდეს ეს ორგანიზაცია. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ კრებები იმართებოდეს თვეში ერთხელ. მეორე საკითხის შესახებ დადგენილ იქნა, რომ ორგანიზაცია შევიდეს მეორე რაიონულ კოლექტივში. ამას ხმა მისცა 44 კაცმა, წინააღმდეგ—8, ხოლო თავი შეიკავა 3 კაცმა. **მორზისტ.**

თელავი. 12 ივლისს შესდგა თელავის პარტიული კრება. კრებას ესწრება ამხანაგების უმრავლესობა. დღიურ წესრიგშია: მოხსენება პარტიულ ყრილობის მუშაობაზედ. თავმჯდომარეობს მაჭავარიანი, მდივნობს ალ. ჩიტოშვილი. მოხსენება პარტიულ ყრილობაზედ გააკეთა ამხ. კ. ანდრონიკაშვილმა; ის შეეხო დაწვრილებით მეორე პარტიულ ყრილობას, მის მთელ მოქმედებას, დღიურ წესრიგს, გამოტანილ რეზოლიუციებს, მან თავის ვრცელ სიტყვაში დაასურათა განვლილი მუშაობა. მოხსენება ძლიერ საინტერესო გამოდგა. თავის სიტყვაში მან გამოხატა ნათლათ მე-2 ყრილობის დიადი მუშაობა, საქმიანობა, მომხსენებელი შეეხო ოპოზიციას, რომელმაც მიაქცია მთელი ყრილობის ყურადღება, და შეიტანა ერთნაირი სიცოცხლე ყრილობის მუშაობაში. შეეხო მთავრობის და ცენტრალურ კომიტეტის მოხსენებებს. ერთი სიტყვით, ამხ. ანდრონიკაშვილმა დაწვრილებით გააცნო კრებას პარტიული ყრილობის მთელი მუშაობა. შეკითხვებზე მან მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. კ. ანდრონიკაშვილისა საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობის შესახებ, თელავის პარტიული კრება იწონებს ყრილობის შინაარსიან საქმიანობას და მხარს უჭერს საერთო ხაზს გატარებულს მის მიერ მიღებულ რეზოლიუციებში.

მდივანი **ალ. ჩიტოშვილი.**

მუშათა შორის

თფილისი. ქალაქის სასურსათო განყოფილების გამგეობამ ამ მოკლე ხანში სხვადასხვა უბნებში რამოდენიმე სასურსათო მაღაზიები გახსნა, რომლებშიაც დიდ ძალი საქონლები იქმნა დაგროვილი. მაგრამ სამწუხაროდ ამ მეტათ სიმპატიურ, ხალხის სასარგებლო დაწესებულებში ვერ არის შესაფერისათ წარმოება დაყენებული, რისთვისაც ბოროტ მოქმედებას, სპეკულიაციას, დაბალ მოსამსახურეთა შევიწროებას და აბუჩად აგდებას ფართო ადგილი აქვს. ხსენებულ დაწესებულებებში დიდი უმრავლესობა რუსობა და სომხობაა და მათდა პატივსაცემად თუ სხვა მოსაზრებით, ყოველივე საქმის წარმოება რუსულ ენაზეა დაყენებული. სახელმწიფო ენა, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ყველა დაწესებულებებში, მივიწყებულია, ამ სხვა და სხვა ჯურის მოსამსახურეთა შორის არ არსებობს არავითარი ორგანიზაციული კავშირი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა შრომის პირობების გაუმჯობესება. მოსამსახურეთა დათხოვნა და მიღება მაღლიდან ხდება. საკმარისია რომელიმე გამგეს ყურ-მოჭრილ მონა-მორჩილათ თუ არ იქცა ნოქარი, რომ ადგილიდან დაითხოვონ. მიუხედავათ იმისა, რომ ნოქარ-დაბალ მოსამსახურეთა უსაზღვრო შრომა მეტათ მძიმე და აუტანელია, მათი თვიური ჯამაგირი არ აღემატება 2,650 მ., რაც პურის და ჩაის ფასათ სანახევროდ არ ყოფნით; ზოგიერთი გულუბრყვილო მაღაზიის გამგენი გაიტაცა გაყიდულ საქონელზე პროცენტების მიღების ოცნებებმა, რამაც გამოიწვია სურსათ-სანოვაგის დაუზოგველად განადგურება, მიუხედავათ იმისა, რომ დღევანდელი კრიზისის დროს ეს დაგროვილი სახალხო სიმდიდრე უნდა ნაწილდებოდეს დაწესებულ ნორმის თანახმად ღარიბ მცხოვრებლებზე: სამაგიეროთ ჩარჩ-ვაჭარ-სპეკულიანტები ყვავყორანივით ძიძგნიან მას. ხშირად ბოროტ-მოქმედება ხდება. მე-13 ქ. სასურსათო დუქანში საქონლის გადამზიდველ გამანაწილებელ მსახურებმა მიიტანეს ავტომობილით 3 ტომარა საქონლის სახვევი ქაღალდი, რომელშიაც აღმოჩნდა შუშების ნახვევი დამპალი თივა, ნეხვი და სხვა; ცხადია ბოროტ პირებმა ისარგებლეს ქალაქის ქონებით და მე 13 დუქნის მოსამსახურეებს ხელში მიაჩეჩეს ქაღალდის მაგიერ შუშის ნახვევები და სხვა დამპალი საგნები. ეს პატარა ბოროტებაა, მაგრამ ამ პატარა ბოროტებასთან ერთად დიდ ბოროტებასაც აქვს ადგილი, რომლის წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროა პროფ. კავშირებმა და სხვა მუშათა მოწინავე ორგანიზაციებმა აწარმოვონ სასტიკი ბრძოლა. როგორც გავიგეთ, ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს დიდი ხანია ფორმალურად როგორც სხვა დარგის მუშებს, თავიანთი წარმომადგენლები აურჩევიათ. მაგრამ მათ თავიანთი ვალდებულების შესრულებაზე სრულიად არ უფიქრიათ. აბა ვინ არის პასუხის მომთხოვი? ამიტომ დაუყონებლივ საჭიროა ხსენებულ მუშა-მოსამსახურეების საქმეს მიექცეს სათანადო ყურადღება.

უ. მაკაშვილი.

პროვინცია

გორი. გორის აღდგენის საქმეს ისეთი შემთხვევები დაერთო, რომ არამც თუ რესპუბლიკის დანარჩენი ნაწილების, არამედ—თვით დანგრეული გორის და მისი მაზრის მთელი ყურადღებაც რესპუბლიკის დაცვისკენ იყო მიმართული, ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის შედარებითი გულ-გრილობა, რომელიც გორის აღდგენის საკითხში იყო გამოჩენილი. მეტყვიან დაეხმარენ გორს და ეხმარებიან კიდეცო, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში, დახმარებამ რამდენიმედ მიზანს მიაღწია და საჭიროა კი მილიარდები, სიჭიროა გაცხოველდეს გორის აღდგენის საკითხი, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კერძო შემოწირულებათა გარდა უნდა მიღებულ იქნას საგანგებო ზომები, მაგალითად, რატომ არ შეიძლება, რომ ერთდროულათ დაიბეგროს მთელი რესპუბლიკა, შემოღებულ იქნას გორის აღდგენისათვის მთელ რესპუბლიკის რკინის გზებზე საგანგებო საფუთო გადასახადი, დაიბეგროს რესპუბლიკაში არსებული ყოველნაირი გასართობი დაწესებულებანი, დაარსებულ იქნას ამ მიზნით საგანგებო ბანკი და სხ.

ი. ქუტირელი.

ქ. სამტრედია. 9 ივლისს შესდგა (მეორე) იმერეთის ბათალიონის სახალხო გვარდიელთა კრება. კრებას დაესწრო გვარდიელთა სრული შემადგენლობა, აფიცრები და ექიმ-ფერშლები. კრებას ხსნის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის თავმჯდომარე ამხ. ნინუა და წინადადებას იძლევა, კრების თავმჯდომარე აირჩიონ. აირჩიეს პორუჩ. ბერეკაშვილი, მის ამხანაგათ ძიგრაშვილი და მდივნათ ისიდორე გიორგაძე. გასარჩევი კითხვებია: 1) მოხსენება ბათომის შემოერთების შესახებ, 2) კულტურულ-განმანათლებელი სექციების დაარსება და 3) მიმდინარე კითხვები. პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ნინუა (საოლქო შტაბის თავმჯდომარე). ის ვრცლად ეხება ბათომის ისტორიას. ხაზს უსვამს ბალშევიკების „საგმირო“ მოღვაწეობას ბათომის და მისი ოლქის საკითხში და აღნიშნავს ჩვენი მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომლის წყალობით ბათომი და მისი ოლქი დაუბრუნდა საქართველოს. ამ სიხარულო მოვლენას და მილოცვას კრება ტაშის ცემით ფარავს. შემდეგ ამისა მეორე კითხვაზე მოხსენების შემდეგ კრება ადგენს რაც შეიძლება მალე დაარსდეს კულტურულ-განმანათლებელი სექციები. მიმდინარე კითხვებში აღძრული იყო ერთი ფრიად საყურადღებო კითხვა, რომელიც ეხებოდა ტყვიის უბრალოთ თოფის სროლას. სერგო ნინუა აკეთებს მოხსენებას და ასაბუთებს თუ რა ზარალი მოაქვს სახელმწიფოსათვის უმიზნოთ ტყვიის დახარჯვას და მიუთითებს კრებას დაგმოს ასეთი საქციელი. კრება ერთხმად გმობს ასეთ საქციელს და ადგენს, რომ მომავალში ვინც გაისვრის უმიზნოთ თოფს ან და ტყვიას დახარჯავს უბრალოთ, ის დაჯარიმებული იქნეს 250 მ. ერთდროულათ. თითეულ ვაზნზე გადახდეს 25 მ. და ერთი დღიდან ათ დღემდი ციხეში დაპატიმრება საოლქო შტაბის განკარგულებით. დასასრულ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია: იმერეთის მეორე სახალხო გვარდიის ბათალიონი საოლქო შტაბის თავმჯდომარე სერგო ნინუას მოხსენების შემდეგ ქ. ბათომისა და მის ოლქის დედა საქართველოზე შემოერთების შესახებ დიდ სასიხარულო და აღფრთოვანებას გამოსთქვამს, ძმურ ხელს უწვდის სამუსულმანო საქართველოს დემოკრატიას, გულწრფელ სალამს უძღვნის და ამ სალამთან ერთად პატიოსან სიტყვას სდებს, რომ მუდამ მზათ არის ხელი გაუწოდოს, ყოველ გაჭირვების დროს მის ძმას, სამუსლიმანო საქართველოს ფუხარა ხალხს.

ამხ. მონდობილობით გვარდიელი **სევ. ხვიჩია.**

ჩვენი ფოსტა

ლადო მაჭავარიანს. თქვენზე ირიცხება 1010 მან. გთხოვთ შემოიტანოთ კანტორაში.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

უ. სრულ-უფლებიან ვიმნაზიის გამგე
მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს.
(2307 1—1

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი
ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(2264 — თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25 4)

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო.
(2383—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისააის ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
ზოლომონ ისააის ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულების ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
ნ. მ. ბაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

10 აგვისტოს 1920 წ. 12 ს. დღისით. მოუწოდებს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ

სად. ბათომის I II და III კლ. ბუფეტები

ცხელი-საჭმელებით და საპარიკმახერო ამავე სადგურის მხოლოდ ზევით აღნიშნული ბუფეტები და საპარიკმახერო გაიცემა ცალ-ცალკე და სახელდობრ ასე: I და II კლ. ბუფ. ცალკე III კლ. კიდევ ცალკე განცხადებანი უნდა შემოტანილ იქმნეს პირადათ ან და გადმოგზავნონ ფოსტით განცხადებებს უნდა თან ახლდეს საქვითარ ბარათი საწინდრის ფულის რიცხვით 5000 მან. თვითეულ ბუფეტისათვის საპარიკმახეროსთვის კი 5000 მან. საწინდრის ფული უნდა შეტანილ იქმნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში იმ შემთხვევაში თუ წინადადება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებ ამა თუ იმ პიროვნებისა უარყოფილ იქნება საწინდრის ფული დაუბრუნდებათ მათ უკან. დაწვრილებით ცნობებს შეჯიბრების შესახებ იძლევა ექსპლოატაციის სამსახური 10—2 საათამდე დღისით რკინის გზათა სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს იჯარით ბუფეტები და საპარიკმახერო თავის შეხედულებისამებრ ე. ი. არა დიდ განცხადებულ ფასშიაც. (ნ. 3—1)

პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის შესასწავლი კურსები

საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქ. კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი და თფილისის საავადმყოფო კასის გამგეობა აწყობს შემოდგომისათვის სამი თვის ვადიან კურსებს პროფ. მოძრაობისა, კოოპერაციის და დაზღვევის საქმეების შესასწავლად. (კურსების გახსნის დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული).

კურსებზე მეცადინეობა იქნება საღამოობით 6—9 საათამდე, დღისით კი პრაქტიკული მუშაობა ორგანიზაციებში. მეცადინეობა იქნება უსასყიდლოთ. უპირატესობა მიეცემა მუშათა და კოოპერატივთა ორგანიზაციების კანდიდატებს.

პროვინციელებისათვის იქნება უსასყიდლო ბინა.

მსმენელნი გამოცდილი იქნებიან წინდაწინ რექტორთა კოლეგიის მიერ.

ვთხოვთ პროფ. კავშირებს და კოოპერატივებს შეუდგენ სამზადისს და გამონახონ სასურველი კანდიდატები.

კურსებზე წაიკითხება ლექციები შემდეგ საგნებზე:

1. პოლიტიკური ეკონომია.
2. მუშათა კანონმდებლობა.
3. მუშათა მოძრაობის ისტორია.
4. პროფეს. მოძრაობის თეორია და პრაქტიკა.
5. სტატისტიკა და ფინანსები.
6. დაზღვევა.
7. ისტორია და თეორია კოოპერატიული მოძრაობისა.
8. ორგანიზაცია და პრაქტიკა პროფ. მოძრაობისა.
9. ორგანიზაცია და პრაქტიკა კოოპერ. მოძრაობისა.
10. ბუჰგალტერია.
11. პროფ. მოძრაობა საქართველოში.
12. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში.

საჭირო ცნობების მისაღებათ მსურველთ შეუძლიათ მიმართონ კურსების მომწყობ საორგანიზაციო კომისიას შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე სართული 4, ოთახი 5, ტელ. 3—56.

(5—3) კურსების მომწყობი **საორგანიზაციო კომისია.**